საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 141 (2057) | პარასკევი, 13 ოქტომბერი, 1995 წელი. | ფასი 25 თეთრი

სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები სახელმწიფოს საძირკველია

საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებს

საქართველოში დასრულდა სახელმწიფო მმართველობის სისტემის ჩამოყალიბების პირველი ეტაპი, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურაში შექმნილი ვაკუუმის აღმოფხვრას და ქვეყანაში დესტაბილიზაციის პროცესების ლოკალიზებას. ამ მიზანს ემსახურებოდა დღემდე მოქმედი დროებითი დებულება „საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შესახებ“. ამ დებულებით მართვის უფლებამოსილებანი კონცენტრირებულ იქნა რაიონების გამგეობებსა და უმთავრესად გამგეობების თავმჯდომარეებთან. მართვის ასეთი მოდელი, ალბათ, შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი იყო, რომელმაც დადებითი შედეგები გამოიღო, საშუალება მოგვცა ყოველ მოვლენაზე ოპერატიული რეაგირებითა და ხშირ შემთხვევაში არაორდინარული გადაწყვეტილებებით ქვეყანა გამოგვეყვანა ქაოსიდან, შეგვექმნა სათანადო პირობები რადიკალური ეკონომიკური რეფორმების დასაწყებად.

საქართველოში დაწყებული რეფორმების თანამიმდევრულად გატარებისათვის აუცილებელია სახელმწიფო მმართველობის სისტემის შემდგომი სრულყოფა და განვითარება. ამ თვალსაზრისით გაუმართლებელია მმართველობის არსებული, უკვე მოძველებული სისტემის შენარჩუნება, რომელმაც თავისი ამოცანა უკვე შეასრულა. აუცილებელია ადგილებზე სახელმწიფო მმართველობის განხორციელებაში მნიშვნელოვანი კორექტივების შეტანა. უპირველეს ყოვლისა, წინ წამოიწია იმ საერთო პრობლემებმა, რომელთა გადაჭრაც შეუძლებელია ერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში. საჭირო გახდა სამხარეო დონეებზე სახელმწიფო რწმუნებულთა ინსტიტუტის შემოღება. სწორედ მათი მეშვეობით მოხერხდა რეგიონულ დონეებზე შესაბამისი მხარისათვის სპეციფიკური პრობლემების მოწესრიგება. ამჟამად სამხარეო ადმინისტრაციათა ჩამოყალიბების პროცესი დამთავრდა და უკვე შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთება, სახელმწიფო რწმუნებულთა ყველა დადებითი თუ ნაკლოვანი მხარეების შეფასება და თითოეულ რეგიონში შექმნილი პრობლემების ანალიზის საფუძველზე, არსებული რეალიების გათვალისწინებით, ამ ინსტიტუტის ფუნქციათა კორექტირება და დახვეწა.

სახელმწიფო რწმუნებულთა ინსტიტუტის შემოღებით მოხდა ფუნქციათა განაწილება რაიონულ და რეგიონულ დონეებს შორის, რამაც მოგვცა რეფორმების განხორციელების საერთო კოორდინირების საშუალება. მაგრამ, რეფორმების თანამიმდევრულად განსახორციელებლად აუცილებელია მართვის არსებული ცენტრალიზებული სისტემიდან მართვის ოპტიმალურ დეკონცენტრირებულ მოდელზე გადასვლა: ფუნქციების გადანაწილება რაიონულსა და რაიონის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში მყოფ სოფლის, დაბის, თემის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქების მმართველობის ორგანოებს შორის.

მართვის ოპტიმალური დეკონცენტრაციით მოხდება ოპერატიული მართვის უფლების ადგილებზე გადაცემა, რაც ადგილობრივი პრობლემების სწრაფად და ეფექტიანად გადაწყვეტის საწინდარი იქნება. ამასთან, შეიქმნება სამართლებრივი და ეკონომიკური ბაზა თვითმმართველობაზე გადასვლისათვის. სწორედ ამ მიზანს ისახავს ამა წლის 16 სექტემბერს მიღებული დროებითი დებულება „საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შესახებ“. ამ დებულებით გაფორმდა სახელმწიფო მართვის დეკონცენტრაცია. გაიმიჯნა ფუნქციები სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონეებს შორის. რაიონის მმართველობის ორგანოს დარჩა ის სფერო, რომელიც თავისი მნიშვნელობით ზოგად სახელმწიფო ინტერესებს განეკუთვნება, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა სხვა საკითხის გადაწყვეტის უფლება სწორედ ადგილობრივი ინტერესების ყველაზე უკეთ გამომხატველ სახელმწიფო მმართველობის პირველი დონის (სოფლის, დაბის, თემის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) მმართველობის ორგანოებს გადაეცათ. მმართველობის ქვედა დონის ორგანოთა ფუნქციების ზრდა შექმნის ხელსაყრელ პირობებს რადიკალური ეკონომიკური რეფორმების გასატარებლად, რადგან ეს ორგანოები სარგებლობენ შესაბამისი ობიექტებითა და მომსახურებით და ყველაზე მეტად არიან დაინტერესებული რეფორმათა განხორციელებით.

ფუნქციათა გადანაწილებით შეიქმნება მმართველობის ადგილობრივ ორგანოთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ოპერატიული კონტროლის საშუალება მმართველობის რაიონული ორგანოების მეშვეობით. ძველი დებულებით მმართველობის ყველა ფუნქცია თავმოყრილი იყო რაიონულ რგოლში და შესაბამისად გადაწყვეტილებებსაც ეს რგოლი იღებდა. ადგილებზე ამ გადაწყვეტილების კანონიერებისა და მართებულობისადმი კონტროლი არ ხორციელდებოდა ხელისუფლების შესაბამისი ადგილობრივი ორგანოს — საკრებულოს ფაქტობრივად არარსებობის გამო.

დებულება ითვალისწინებს გამგეობების სახელმწიფო მმართველობის სრულფასოვან, კოლეგიალურ ორგანოდ ჩამოყალიბებას. აქამდე მართვის მთელი უფლებამოსილება კონცენტრირებული იყო გამგეობის თავმჯდომარესთან, რომელიც უშუალოდ, ერთპიროვნულად წყვეტდა სახელმწიფო მმართველობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. თავის დროზე მართვის ასეთი ფორმა გამართლებული იყო მაქსიმალური ცენტრალიზაციის და გადაწყვეტილებათა ოპერატიულად მიღების თვალსაზრისით. მაგრამ, დღევანდელ ვითარებაში, გადაწყვეტილებათა მიღების არაკოლეგიალურობამ ბოლოდ უარყოფითი შედეგი შეიძლება მოიტანოს.

დებულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ეკონომიკური საფუძვლების განსაზღვრა. მოცემულია ადგილობრივი მეურნეობისა და მუნიციპალური ქონების ცნებები, განსაზღვრულია მუნიციპალური ქონების შექმნის საფუძვლები და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ეკონომიკური კომპეტენცია. ამ საკითხის გადაწყვეტა საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ სახელმწიფო ქონების მართვის დეცენტრალიზაცია და სახელმწიფო საკუთრების უფლების რესპუბლიკურ და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საკუთრების უფლებად გამიჯვნა. ეს აუცილებელი პირობაა სახელმწიფო მმართველობის ეკონომიკური ბაზის განმტკიცებისა და ეკონომიკური რეფორმების (განსაკუთრებით პრივატიზაციის) წარმატებით განხორციელებისთვის.

მართვის დეკონცენტრირებულ მოდელზე გადასვლით იწყება სახელმწიფოს მშენებლობის ახალი ეტაპი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა და ამა წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამსახურის შესახებ“, რაც სახელმწიფო ორგანოთა ნორმალური ფუნქციონირების ერთ-ერთი უმთავრესი გარანტიაა. კანონის რეალიზაცია ხელს შეუწყობს მმართველობის ორგანოებში ბიუროკრატიზმის, კორუფციისა და ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის, სახელმწიფოსა და მოქალაქეთა ინტერესების საწინააღმდეგოდ თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამოვლენათა აღმოფხვრას, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას.

ყველაზე უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაწყვეტა — დებულებებისა და კანონების ცხოვრებაში გატარება, დამოკიდებულია უპირველესად სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების თავკაცებზე. სწორედ მათი მეშვეობით არის შესაძლებელი სახელმწიფო სამსახურის ისეთი სტაბილური მექანიზმის ჩამოყალიბება, რომლითაც მუდმივად იქნება დაცული სახელმწიფო მემკვიდრეობითობა, რომელიც გაუძლებს პოლიტიკურ კონიუნქტურას და ნებისმიერ კრიზისს. აქედან გამომდინარე სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების პირველი რიგის ამოცანაა „სახელმწიფო სამსახურის შესახებ“ კანონისა და მოქმედი დროებითი დებულების შესაბამისად გარდაქმნან მუშაობის ფორმები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სახელმწიფო მმართველობის ფინანსურ-ეკონომიკური ბაზის განმტკიცებას, ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებასა და შესრულებას, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის რეალურ პროგნოზირებას. ამ საკითხების მოწესრიგების გარეშე შეუძლებელი იქნება რადიკალური ეკონომიკური რეფორმების განხორციელება.

მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა უნდა ჩაატარონ მოსახლეობაში ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა. მოქალაქეებს გააცნონ მმართველობის ორგანოების უფლება-მოვალეობები, მმართველობის სისტემაში გატარებული რეფორმის არსი და მნიშვნელობა. რეგიონების მართვის სამსახურმა სახელმწიფო რწმუნებულებთან და შესაბამის სამინისტროებთან ერთად უნდა მოაწყონ რეგიონული თათბირ-სემინარები, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებს ჩაუტარონ ინსტრუქტაჟები, განუმარტონ დებულების მუხლები, გაუწიონ დახმარება წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ფართოდ გააშუქონ რეფორმის მიმდინარეობის პროცესი.

მმართველობის სისტემის რეფორმამ უნდა იმოქმედოს თითოეული მოქალაქის ინტერესების სასარგებლოდ, გააღრმაოს კავშირი მოსახლეობასა და მმართველობის ორგანოებს შორის, აღმოფხვრას ბიუროკრატიზმი, შექმნას კონსტიტუციით დეკლარირებული მოქალაქეთა უფლებების დაცვის რეალური გარანტიები.

სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები წარმოადგენენ სახელმწიფოს საძირკველს, რომელსაც ეფუძნება ქვეყნის მომავალი. მმართველობის სისტემაში მიმდინარე რეფორმა არის გადამწყვეტი ეტაპის დასაწყისი დამოუკიდებელი, ძლიერი საქართველოს მშენებლობის გზაზე. მმართველობის ადგილობრივი ორგანოს თითოეულმა ხელმძღვანელმა, თითოეულმა თანამშრომელმა და მოქალაქემ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ამ საქმეში. სახელმწიფოს შენება არის შეუქცევადი პროცესი, რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია. ეს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის კანონზომიერი შედეგია. საქართველო გახდა კონსტიტუციური სახელმწიფო. საქართველოს მოქალაქეებმა გააკეთეს არჩევანი, გადადგეს ნაბიჯი დემოკრატიული საზოგადოებრივი წეს-წყობილების, ეკონომიკური თავისუფლებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს დასამკვიდრებლად. კონსტიტუციის სიტყვები, რომ „საქართველოს მოქალაქენი საყოველთაოდ აცხადებენ...“ არ არის ლიტონი ფრაზა, ეს არის უარყოფა ყველა იმ ძალებისა, რომლებიც ქვეყანას ქაოსისკენ მიაქანებდნენ, ეს არჩევანია თავისუფალი პიროვნებებისა, რომლებსაც ესმით სახელმწიფოს შენების აუცილებლობა. ბოლო სამი წლის მანძილზე ქვეყანამ მრავალი უბედურება გადაიტანა. 29 აგვისტოს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იყო უკანასკნელი სერიოზული გაბრძოლება იმ ძალებისა, რომელთაც უნდოდათ ბედის ჩარხის უკუღმა დატრიალება. დღეს შეიძლება ითქვას: „რუბიკონი გადალახულია“ — ქვეყანა გადარჩა, დაადგა შენების გზას. ამიტომაც სწორედ ამ ეტაპზე იქნა შემოღებული ეროვნული ვალუტა. ეს შემთხვევითი არ არის. ქვეყანაში შეიქმნა პირობები აღმშენებლობისათვის. სულ რაღაც ერთ თვეში საქართველოში ჩატარდება არჩევნები, მაგრამ მიუხედავად არჩევნების შედეგებისა, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პარტიას რამდენი დეპუტატი ეყოლება პარლამენტში, ცხადია — საქართველო დაადგა იმ გზას, რომელიც არა მარტო ტერიტორიულად გაამთლიანებს და ეკონომიკურად აღორძინებს მას, არამედ დაუბრუნებს ქვეყანას დაკარგულ დიდებას და დაუმკვიდრებს ღირსეულ ადგილს სხვა ერთა შორის.

ედუარდ შევარდნაძე.

1995 წლის 11 ოქტომბერი.

ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილისა და საზოგადო მოღვაწეობისთვის დირიჟორი ჯანსუღ კახიძე და ქართული მუსიკის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილისთვის კომპოზიტორი გია ყანჩელი დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 11 ოქტომბერს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ დაჯილდოებულებს საზეიმოდ გადასცა ორდენები.

სურათზე: დაჯილდოების დროს.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დაზუსტება

„საქართველოს რესპუბლიკის“ 12 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა საქინფორმის მიერ მომზადებული ინფორმაცია სათაურით „დადგინდა პრეზიდენტობის კანდიდატთა რიგითობა“. ამ განცხადებაში გაუგებარია, პრეზიდენტობის კანდიდატთა რა რიგითობაა ნაგულისხმევი. სინამდვილეში ლაპარაკი უნდა იყოს ტელევიზიით პრეზიდენტობის კანდიდატთა გამოსვლის რიგზე, რომელიც დადგინდა 6 ოქტომბერს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემდგარი წილისყრით. შეგახსენებთ, რომ „საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ საქართველოს კანონის“ თანახმად (მუხლი 18, პუნქტი 2), „საარჩევნო ბიულეტენში პრეზიდენტობის კანდიდატები შეიტანება წარდგენის რიგის მიხედვით“.

კომისია კიდევ ერთხელ მოითხოვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისგან, რომ არჩევნებთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია გამოქვეყნებამდე შეაჯერონ კომისიის საინფორმაციო განყოფილებასთან.

ცენტრალური საარჩევნო კომისია.

დადგინდა ტელევიზიით პრეზიდენტობის კანდიდატთა გამოსვლის რიგითობა

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 6 ოქტომბერს გამართულმა წილისყრამ დაადგინა ტელევიზიით პრეზიდენტობის კანდიდატთა გამოსვლის შემდეგი რიგითობა:

1. ედუარდ შევარდნაძე
2. ქართლოს ღარიბაშვილი
3. როინ ლიპარტელიანი
4. აკაკი ბაქრაძე
5. ჯუმბერ პატიაშვილი
6. პანტელეიმონ გიორგაძე

ჟამი დიდი არჩევნისა

თავისუფალი არჩევნების ჩატარება დიდადაა დამოკიდებული შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაციაზე. არჩევნების შესახებ კანონმდებლობის სწორი გაგებისა და გამოყენების უზრუნველსაყოფად უზენაესი სასამართლოს პლენუმმა უკვე შექმნა რამდენიმე დოკუმენტი. ერთ-ერთი „საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებული დავების შესახებ“ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა.

გთავაზობთ პლენუმის დადგენილებას „საარჩევნო უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვის შესახებ“. მასში განმარტებულია სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლი (მისი ტექსტიც ქვეყნდება), რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის გამო. დადგენილება შემუშავებულია „საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ კანონის მიღებამდე, ამიტომ მასში ყურადღება გამახვილებულია პარლამენტის არჩევნებში მოქალაქის საარჩევნო უფლების ხელყოფის საკითხებზე. ამასთან დაკავშირებით, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ დადგენილების ყველა დებულება თანაბრად შეეხება პრეზიდენტის არჩევნებსაც.

დადგენილების გამოქვეყნება, უწინარეს ყოვლისა, მიზნად ისახავს საზოგადოებისათვის, მათ შორის, არჩევნებში მონაწილე პრეზიდენტობისა თუ დეპუტატობის კანდიდატების, პარტიებისა და ბლოკებისათვის ცხადი გახადოს კანონის ზუსტი შინაარსი, შეახსენოს ყველას საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლები და შესაბამისი ზემოქმედების ღონისძიებანი. ამას გარდა, დადგენილება დაეხმარება სასამართლოებს, სწორად გამოიყენონ კანონი შესაბამისი საქმეების განხილვისას მოქალაქის ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური უფლების ხელყოფის შემთხვევაში.

სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლი:

მოქალაქის საარჩევნო ან სხვა პოლიტიკური და შრომის

უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა.

მოქალაქის საარჩევნო ან სხვა პოლიტიკური და შრომის უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა მოტყუებით, მოსყიდვით, მუქარით, ძალადობით ან სხვა გზით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღისა თუ საბრძოლო მასალის გამოყენებით, აგრეთვე მოქალაქის ქონების დაზიანებით ან განადგურებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული მოქმედება, თუ მას მოჰყვა ადამიანის მსხვერპლი, ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის

დადგენილება № 18

მოქალაქის საარჩევნო უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვის შესახებ

მოქალაქის საარჩევნო უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლის სწორი გამოყენებისა და ამ საქმეებზე თანამიმდევრული პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, უზენაესი სასამართლოს პლენუმი **ადგენს:**

1. სსკ-ის 139-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოქალაქის როგორც პასიური, ისე აქტიური საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის გამო. ეს გულისხმობს დამნაშავის მიერ ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც აბრკოლებენ საარჩევნო უფლების განხორციელებას.

საარჩევნო უფლების განხორციელების ხელის შეშლას განეკუთვნება საინიციატივო ჯგუფის წევრთა მიერ დეპუტატობის კანდიდატის წარდგენისათვის, დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილ თუ ხელშემწყობ პირთა, ასევე არჩევნებში მონაწილე პარტიისა და საარჩევნო ბლოკის რწმუნებულთა ან სხვა უფლებამოსილ პირთა შესაბამისი საქმიანობისათვის ხელის შეშლა.

2. დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება საარჩევნო უფლების განხორციელების დამაბრკოლებელი ქმედობის ჩადენის მომენტიდან, იმისდა მიუხედავად, დაირღვა თუ არა საბოლოოდ მოქალაქის საარჩევნო უფლება, ე. ი. აღეკვეთა თუ არა მას არჩევნებში მონაწილეობის საშუალება, ან შეეზღუდა თუ არა მასში მონაწილეობისას თავისი პოლიტიკური ნების გამოვლენის შესაძლებლობა.

3. იმისათვის, რომ საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა დანაშაულად ჩაითვალოს, მნიშვნელობა არა აქვს, იყო თუ არა დაზარალებულისათვის აშკარა, რომ მას ხელს უშლიდნენ ამ უფლების განხორციელებისას, ან გააცნობიერა თუ არა მან საბოლოოდ ეს გარემოება. საკმარისია დადგინდეს, რომ დამნაშავის ქმედობამ მოქალაქის საარჩევნო უფლების განხორციელება ობიექტურად დააბრკოლა.

4. დანაშაულია მოქალაქის საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის მხოლოდ ისეთი ხელის შეშლა, რომელიც ჩადენილია პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ თავისი ქმედობით ხელს უშლის მოქალაქეს საარჩევნო უფლების განხორციელებაში და ეს უნდა გამოხატავდეს მის ნება-სურვილს.

5. მოტყუებით საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლას განეკუთვნება ხმის მიცემის ადგილისა და დროის, საარჩევნო ბიულეტენის შევსებისა თუ ხმის მიცემის წესის თაობაზე მოქალაქისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება და სხვ.

ამავე ხერხით საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლად ჩაითვლება არჩევნებში მონაწილე პარტიისა (ბლოკისა) თუ დეპუტატობის კანდიდატის მონაცემების შესახებ მოქალაქისათვის ისეთი ხასიათის ცრუ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც აშკარად მცდარ წარმოდგენას ქმნიდა მათზე და შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა მოქალაქის არჩევანზე.

თუ ასეთი ინფორმაცია ხელყოფს პარტიისა (ბლოკისა) თუ დეპუტატობის კანდიდატის პატივსა და ღირსებას, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 139¹-ე მუხლით.

6. მოსყიდვით საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა გულისხმობს მატერიალური თუ სხვა საზღაურით, ან მისი დაპირებით მოქალაქის დაყოლიებას, ან დაყოლიების მცდელობას, დამნაშავის ნებასურვილის შესაბამისად განახორციელოს თავისი საარჩევნო უფლება.

7. მუქარით საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლად ჩაითვლება ფსიქიკური ზემოქმედებით მოქალაქის იძულება, ან იძულების მცდელობა, დამნაშავის მოთხოვნის შესაბამისად განახორციელოს თავისი საარჩევნო უფლება. ასეთი ფსიქიკური ზემოქმედებაა მოქალაქის დაშინება, რომელსაც შეეძლო რეალურად მოეხდინა გავლენა მის არჩევანზე.

8. ძალადობა, როგორც საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის ხერხი, გულისხმობს მოქალაქეზე ფიზიკურ ზემოქმედებას (ცემა, სხეულის დაზიანება, სიცოცხლის მოსპობა), ფიზიკური დაბრკოლების შექმნას (მაგალითად, საარჩევნო უბნის პიკეტირება, მოქალაქის დაკავება ქუჩაში ან სხვა ადგილას) და სხვ.

ცემას და სხეულის მსუბუქ დაზიანებას მოიცავს 139-ე მუხლი და კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით საჭირო არ არის.

თუ ძალადობას თან ახლდა თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ქმედობის კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით — ამ მუხლის I ნაწილითა და 133-ე მუხლით.

9. სხვა ხერხით ამ დანაშაულის ჩადენას განეკუთვნება საარჩევნო ბიულეტენების ფარული გატაცება, ან მისი აშკარად გატაცება, თუ მას არ ახლდა მოქალაქეზე ძალადობა ან მისი განხორციელების მუქარა; ასევე, საარჩევნო კომისიის წევრის თუ სხვა თანამდებობის პირის მიერ მოქალაქის საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა მათი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით და სხვ.

ასეთი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება შეიძლება გამოიხატებოდეს არჩევნების შესახებ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საარჩევნო კომისიების საქმიანობის წესის განზრახი დარღვევით, რომელმაც გამოიწვია, ან წინასწარი შეცნობით შეეძლო გამოეწვია მოქალაქეთა საარჩევნო უფლების შელახვა. მაგალითად, მოქალაქეთათვის საარჩევნო ბიულეტენების მიუცემლობა; არჩევნების დღეს საარჩევნო უბნის კანონით გათვალისწინებულ დროზე გვიან გახსნა ან ადრე დაკეტვა; დეპუტატობის კანდიდატის რეგისტრაციის წესების ისეთი დარღვევა, რასაც შეეძლო ხელი შეეშალა მისთვის ეყარა კენჭი, ან ამ მიზნით დაბრკოლების სხვაგვარად შექმნა.

თუ საარჩევნო კომისიის წევრის ან სხვა თანამდებობის პირის მიერ თავისი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება გამოიხატა საარჩევნო დოკუმენტების გაყალბებით, ხმების არასწორი დათვლით, ან ხმის მიცემის საიდუმლოების დარღვევით, ქმედობა დაკვალიფიცირდება სსკ 140-ე მუხლით.

თუ ამ პირთა მიერ ჩადენილ ქმედობაში არის სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 თავით გათვალისწინებული ისეთი თანამდებობრივი დანაშაულის ნიშნები, როგორიცაა ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, მექრთამეობა, სამსახურებრივი სიყალბე, ქმედობა დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

10. ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღისა თუ საბრძოლო მასალის გამოყენებად ჩაითვლება მათი ხმარება, როგორც მოქალაქის დაშინების საშუალებად ძალადობის ან მუქარის განხორციელების დროს, ასევე სხეულის დასაზიანებლად ან სიცოცხლის მოსასპობად.

იარაღისა ან საბრძოლო მასალის დემონსტრირება საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ პირი მოქმედებდა საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლის განზრახვით და ის უკავშირდებოდა მოქალაქის მიმართ ძალადობის ან მუქარის განხორციელებას. სხვა შემთხვევაში ის წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174⁵-ე მუხლით გათვალისწინებულ გადაცდომას.

11. სსკ 139-ე მუხლის მიხედვით, მძიმე შედეგად ჩაითვლება სხეულის მძიმე დაზიანება, მოქალაქეთა პირადი, საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო ქონებისათვის განსაკუთრებით დიდი მატერიალური ზიანის მიყენება (მაგალითად, შენობების დანგრევა, დაწვა, აფეთქება და სხვ.); ასევე, საარჩევნო უბანში არჩევნების ჩაშლა. არჩევნების შედეგების ბათილად ცნობა და სხვ.

12. „ადამიანის მსხვერპლი ან სხვა მძიმე შედეგი“, რაც გათვალისწინებულია მუხლის III ნაწილით, იმ შემთხვევაში შეერაცხება პირს ბრალად, თუ დადგინდა, რომ ამ შედეგების მიმართ დამნაშავის ფსიქიკური დამოკიდებულება გამოიხატებოდა გაუფრთხილებლობით. ამის შესაბამისად:

ა) თუ საარჩევნო უფლების განხორციელებისთვის ხელის შეშლას მოჰყვა მოქალაქის გაუფრთხილებელი მკვლელობა ან გაუფრთხილებლობით სხეულის მძიმე დაზიანება, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ ამ მუხლის III ნაწილით.

ბ) თუ დამნაშავის ქმედობას თან ახლდა მოქალაქის განზრახ მკვლელობა ან სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, იგი უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით — ამ მუხლის I ან II ნაწილითა და პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესაბამისი მუხლით (სსკ 104-ე, 105-ე, 110-ე მუხლები).

გ) თუ დამნაშავის ქმედობას თან ახლდა სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს ამ მუხლის I ან II ნაწილითა და 111-ე მუხლით, ხოლო თუ ასეთი შედეგი დამნაშავის გაუფრთხილებლობას მოჰყვა — ამ მუხლის I ან II ნაწილითა და 115-ე მუხლით.

13. „მოქალაქის პირადი ქონების დაზიანება ან განადგურება“, რაც გათვალისწინებულია მუხლის II ნაწილით, დამნაშავის განზრახ ბრალს გულისხმობს. ასეთ შემთხვევაში ქმედობა არ მოითხოვს დამატებით კვალიფიკაციას სსკ-ის 157-ე მუხლით.

თუ მოქალაქის საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლას თან ახლდა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახი დაზიანება, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, ამ მუხლის I ან II ნაწილითა და სსკ-ის მე-100 მუხლით. ხოლო, თუ მას მოჰყვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გაუფრთხილებელი დაზიანება, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს მძიმე შედეგად და მიყენებულია საყოველთაოდ საშიში საშუალებით, ან ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობით, ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, ამ მუხლის I ან II ნაწილითა და 101-ე მუხლით.

14. პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ დანაშაულის ჩადენის ხერხი, დანაშაულებრივი განზრახვის შინაარსი, კერძოდ, თუ რისკენ იყო ის მიმართული — მოქალაქის საარჩევნო უფლების აღსაკვეთად თუ მისი განხორციელების შესაძლებლობის შეზღუდვისაკენ; ასევე, გასათვალისწინებელია, დაირღვა თუ არა დამნაშავის მოქმედების შედეგად მოქალაქის საარჩევნო უფლება.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
მ. უგრეხელიძე.

პლენუმის მდივანი, უზენაესი სასამართლოს წევრი
დ. ხელაია.

5 ნოემბერი არჩევნების დღეა!

ოფიციალური დოკუმენტები

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის საქენერგოს დეპარტამენტის სისტემაში მძიმე ფინანსური მდგომარეობის დაძლევის საგანგებო ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში ძირეული ეკონომიკური გარდაქმნების მიმდინარე ეტაპზე მთელი სიმწვავით იჩინა თავი გადასახადების გადაუხდელობით გამოწვეულმა კრიზისმა. განსაკუთრებით შემაშფოთებელი ვითარებაა შექმნილი ელექტროენერგეტიკულ სისტემაში, რაც დიდ საშიშროებას უქმნის ეკონომიკურ რეფორმებს, მეურნეობის აღდგენა-განვითარებასა და თვით ფუნქციონირებასაც კი. მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების საყოველთაო გადაუხდელობის შედეგად საქენერგოს დეპარტამენტის დებიტორულმა და, აქედან გამომდინარე, კრედიტორულმა დავალიანებებმა კოლოსალურ მასშტაბებს მიაღწია, თვეობით არ გაიცემა ხელფასები და არ ანაზღაურდება შესრულებული სამუშაოების ღირებულება, ძირითადად უსახსრობის გამო მეტად სავალალო მდგომარეობაშია დარგის უმნიშვნელოვანესი ობიექტები და ზოგიერთი მათგანი ავარიულ რეჟიმში მუშაობს.

წლის დასაწყისიდან დაბალი ძაბვის ელექტროქსელების მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისათვის გადაცემას რაიმე დადებითი შედეგი არ გამოუღია, ნაკლებად იგრძნობა ამ პრობლემის მოგვარებისათვის საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო რწმუნებულების, ქალაქების მერების, რაიონების გამგებლების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობა, რომელიც განსაზღვრულია სახელმწიფოს მეთაურის ა. წ. 5 ივლისის № 268 ბრძანებულებით.

ელექტროენერგეტიკაში არგადახდების არსებული კრიზისის შემდგომი გაგრძელების მოსალოდნელი კატასტროფული შედეგების თავიდან აცილების მიზნით და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

1. შეიქმნას მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების სპეციალური დროებითი საგანგებო ენერგეტიკული კომისია (ტექსტში შემდგომ — საგანგებო ენერგეტიკული კომისია), № 1 დანართის თანახმად, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა, რომელიც უშუალოდ ანგარიშვალდებული იქნება საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის წინაშე.

2. საგანგებო ენერგეტიკული კომისიის უფლებამოსილება განისაზღვროს დროებით ერთი წლის ვადით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გაგრძელდება ქვეყნის პრეზიდენტის ნებართვით.

3. დამტკიცდეს საგანგებო ენერგეტიკული კომისიის დებულება № 2 დანართის თანახმად. კომისიის თავმჯდომარემ თვეში ორჯერ მოახსენოს სახელმწიფოს მეთაურს გაწეული მუშაობისა და მისი შედეგების შესახებ. კომისიამ ერთი კვირის ვადაში ჩამოაყალიბოს რეგიონული სამუშაო ჯგუფები და უზრუნველყოს მათი მუშაობის კოორდინაცია.

4. საქენერგოს დეპარტამენტისა და მის სისტემაში შემავალ ელექტროენერგიის რეალიზაციისა და ტრანსპორტირების საწარმოებს მიენიჭოთ კანონიერი უფლება ცენტრალიზებულ მომხმარებლებს — სამრეწველო და საწარმოო დანიშნულების სხვა ობიექტებს, რომლებიც არ იხდიან მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს არსებული წესის მიხედვით, მთლიანად შეუწყვიტონ ელექტროენერგიის მიწოდება და მკაცრად გამოიყენონ ეს სანქციები ანაზღაურების სტიმულირებისათვის.

ამასთან კომისიამ განახორციელოს საწარმოო სფეროს დანარჩენი მომხმარებლებისაგან ელექტროენერგიის საფასურის ამოღების რადიკალური ღონისძიებები.

5. მუნიციპალური და რაიონული ელექტროკომპანიების მიერ მომხმარებლისათვის მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მიზნით საგანგებო ენერგეტიკულმა კომისიამ შესაბამისი დავალებები და რეკომენდაციები მისცეს მათ, ამასთან, განახორციელოს ელექტროენერგიის მიწოდების პროპორციული შემცირებები წინა თვეებში მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების გადახდიდან გამომდინარე.

6. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 5 ივლისის № 268 ბრძანებულებით განსაზღვრული პასუხისმგებლობის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო რწმუნებულებმა, ქალაქების მერებმა და რაიონების გამგებლებმა საჭიროების შემთხვევაში უშუალო მონაწილეობა მიიღონ საგანგებო ენერგეტიკული კომისიის მუშაობაში.

7. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ, ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების საფინანსო სამსახურებმა:

ა) დაუყოვნებლივ განახორციელონ შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ა. წ. 1 ოქტომბრის მდგომარეობით არსებული დავალიანებებისა და საქენერგოს დეპარტამენტის შესაბამისი ბიუჯეტებისადმი დავალიანებების ურთიერთჩათვლები და ამის შემდეგ დარჩენილი დავალიანებების დაფარვა;

ბ) ა. წ. 1 ოქტომბრიდან საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ხარჯთაღრიცხვის ლიმიტების ფარგლებში მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება დადგენილ ვადებში პირდაპირ ჩარიცხონ საქენერგოს დეპარტამენტის ანგარიშზე (სუბანგარიშებზე) და შესაბამისი თანხების სრული და თავისდროული ჩარიცხვების შესახებ თვეში ორჯერ ანგარიში წარუდგინონ საგანგებო ენერგეტიკულ კომისიას. ელექტროენერგიის ფაქტობრივი მოხმარების მიხედვით საბოლოო ანგარიშსწორება (კორექტირება) მოხდეს კვარტლის შედეგების მიხედვით.

8. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა, ახალმა ქართულმა ბანკმა, სხვა სააქციო კომერციულმა ბანკებმა განახორციელონ სასწრაფო ზომები სადებეტო ნაშთების, ასევე სხვა მიზეზებით საბანკო სისტემაში ელექტროენერგიის რეალიზაციიდან ამონაგები თანხების მოძრაობის შეფერხებათა მთლიანად აღმოსაფხვრელად, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის შემთხვევაში საქენერგოს დეპარტამენტის და მისი სისტემის დაწესებულებათა ანგარიშები თავმოყრილ იქნეს ერთ საბანკო ქსელში. ამასთან, ამიერიდან თავისი ფინანსური მდგომარეობის რადიკალური მოწესრიგების ამოცანებიდან გამომდინარე საქენერგოს დეპარტამენტმა დამოუკიდებლად გადაწყვიტოს იურიდიულ პირებთან ელექტროენერგიის მიწოდებისა და ანგარიშსწორების საკითხები.

9. მთლიანად რესპუბლიკის ეკონომიკაში შექმნილ ექსტრემალურ სიტუაციაში მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების, რაც შეიძლება მაქსიმალურად ამოღების მიზნით საქენერგოს დეპარტამენტსა და სამეურნეო სუბიექტებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე შესაძლებლად ჩაითვალოს ანგარიშსწორების განხორციელება უშუალოდ საქონლით (მომსახურებით), აქციებით, მევალეთა სხვა მატერიალური და ფინანსური აქტივებით.

10. საგანგებო ენერგეტიკული კომისიის გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად შესაბამისი ორგანიზაციებისათვის.

11. რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკული სისტემის საერთო და ფინანსური მდგომარეობა, ამ ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობა და საგანგებო ენერგეტიკული კომისიის მუშაობა ფართოდ გაშუქდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

12. ბრძანებულების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატს.

13. ბრძანებულება გამოქვეყნდეს პრესაში, გადაიცეს რადიოთი და ტელევიზიით.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 5 ოქტომბერი.

დანართი № 1.

საგანგებო ენერგეტიკული კომისია

დავით იაკობიძე — კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი

ვლადიმერ პაპავა — თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრი

მარლენ გიორგაძე — საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი

დავით სალარიძე — საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო სამსახურის უფროსი

რევაზ შავიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარე

ანტონ ინგოროყვა — ახალი ქართული ბანკის აღმასრულებელი დირექტორი

რევაზ ყიფიანი — საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე

დავით ზუბიტაშვილი — საქენერგოს დეპარტამენტის თავმჯდომარე

ბადრი შოშიტაიშვილი — თბილისის მუნიციპალიტეტის პრემიერი

თევდორე ნინიძე — საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი.

დანართი № 2.

საგანგებო ენერგეტიკული კომისიის დებულება

I. ზოგადი დებულებები

1. საგანგებო ენერგეტიკული კომისია (შემდგომში კომისია) წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურას და უშუალოდ ანგარიშვალდებულია საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის წინაშე.

2. კომისიის მთავარი მიზანია მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ამოღებაში თანდათანობითი და, ამასთან, არსებითი გაუმჯობესების მიღწევა, საფასურის ანაზღაურების ანგარიშსწორების დაჩქარების, შესაბამისი თანხების გარანტირებული და თავისდროული ამოღების სისტემის დანერგვის მიმართულებით ორგანიზაციულ-ეკონომიკური ღონისძიებების დამუშავება და განხორციელება.

3. კომისია ქმნის რეგიონულ სამუშაო ჯგუფებს. კომისია და მისი რეგიონული ჯგუფები მუშაობენ დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საბოლოოა და ექვემდებარება დაუყოვნებლივ შესრულებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მათი რეალიზაცია მოითხოვს არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას.

4. კომისიის სხდომა ტარდება არანაკლებ თვეში ორისა.

II კომისიის უფლებები და მოვალეობანი

5. კომისიას აქვს კანონიერი უფლება:

ა) მოითხოვოს ნებისმიერი სამინისტროსა და უწყებისაგან, საწარმოსა და ორგანიზაციისაგან ელექტროენერგეტიკის სფეროში არგადახდებთან დაკავშირებული ნებისმიერი მასალა და გამოიძახოს ნებისმიერი თანამდებობის პირი, რომელიც პასუხისმგებელია არგადახდებისათვის;

ბ) მიიღოს გადაწყვეტილება ელექტროენერგეტიკულ არგადახდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე და მოითხოვოს მისი შესრულება, არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ მოთხოვნების ჩათვლით;

გ) მიმართოს მაკონტროლებელ ან (და) სამართალდამცავ ორგანოებს დაიწყონ განსაკუთრებით უდისციპლინო და მსხვილი არგადამხდელების, აგრეთვე იმ ორგანიზაციებისა და დაწესებულებების (საბანკო სისტემის ჩათვლით) საქმეთა შესწავლა ან (და) გამოძიება, რომლებიც თავიანთი უმოქმედობით თუ დანაშაულებრივი ქმედებით აფერხებენ ამონაგების თანხის შემოსვლას ელექტროენერგიის მიმწოდებლების ანგარიშზე;

დ) გამოვიდეს საქენერგოს დეპარტამენტის კანონიერი უფლებების დაცვის გარანტად მის მიერ მომხმარებლებზე ელექტროენერგიის მიწოდების სრული შეწყვეტის ან პროპორციული შეზღუდვების განხორციელების დროს;

ე) მიმართოს შესაბამის ორგანოებს ერთჯერადი სოციოლოგიური და სხვა სახის გამოკვლევების, სტატისტიკური დაკვირვებების ჩატარება მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის მდგომარეობის შესწავლისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესამუშავებლად;

ვ) საქენერგოს დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე განიხილოს და დაამტკიცოს ელექტროენერგიის ეკონომიის საგანგებო ღონისძიებები.

6. კომისია პასუხს აგებს:

ა) ელექტროენერგეტიკული არგადახდების თანდათანობითი და სტაბილური შემცირებისათვის;

ბ) მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებისა და მათი შედეგებისათვის;

გ) მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების სრული გადახდისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც კომისიის მიერ, როგორც გამონაკლისი, მიღებულია გადაწყვეტილება გადახდების განვადების თაობაზე;

დ) განხორციელებული სამუშაოსა და მისი კონკრეტული შედეგების შესახებ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისათვის პერიოდულად (თვეში ორჯერ) ანგარიშების წარდგენისათვის.

III. კომისიის მუშაობის ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური საკითხები

7. კომისია ამუშავებს და ამტკიცებს თავისი მუშაობის გეგმას და ახორციელებს სათანადო საქმეთა განხილვას საქენერგოს დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე. აუცილებლობის შემთხვევაში იგი ამოწმებს არგადამხდელების საბანკო ანგარიშებს და საბანკო ოპერაციებს, სამართალდარღვევების თვალსაზრისით საეჭვო შემთხვევაში მასალებს გადასცემს პროკურატურას, ახორციელებს არგადახდების შემცირების სხვა ღონისძიებებს.

8. მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ამოღებაზე კომისია ზემოქმედებს მუნიციპალური ელექტროენერგეტიკული კომპანიების მეშვეობით, რომელთა საქმიანობაც მოცემულ სფეროში განიხილება იმავე წესით, როგორითაც საწარმოო სფეროს არგადამხდელი ობიექტებისა.

9. განსაკუთრებულ შემთხვევებში კომისიას შეუძლია მისცეს რეკომენდაცია საქენერგოს დეპარტამენტს არ შეუწყვიტოს ელექტრომომარაგება დიდი დავალიანების მქონე სამეურნეო ობიექტებს, თუკი არსებობს დავალიანების განსაზღვრულ ვადაში გადახდის გარანტიები. საქენერგოს დეპარტამენტს უფლება აქვს მიიღოს ან უარყოს ეს რეკომენდაცია; მიღების შემთხვევაში ფორმდება ახალი კონტრაქტი, რომელშიც კონკრეტდება ზემოხსენებული გარანტიები და ვადები.

10. ელექტროენერგიაზე საწარმოო სფეროს ობიექტების დავალიანებების დასაფარად კომისიას უფლება აქვს უბრძანოს მათ: ვალების დასაფარად თანხების დაუყოვნებელი გადარიცხვა, მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალების, ინვენტარის და სხვა მიმდინარე აქტივების გაყიდვა ან გადაცემა, ძირითადი ფონდების ნაწილის (აქციების, შენობების, მოწყობილობების) გაყიდვა, გადაცემა და ა. შ.

11. მუნიციპალური და რაიონული ენერგოკომპანიებისათვის ელექტროენერგიის მიწოდების პროპორციული შეზღუდვები, როგორც წესი, ხორციელდება შემდეგნაირად: ელექტროკომპანიამ, რომელმაც გადაიხადა ერთ თვეში მის მიერ მიღებული და რეალიზებული ელექტროენერგიის საერთო ღირებულების მაგალითად 20 პროცენტი, მომდევნო თვეში იღებს საერთო მოთხოვნის (ლიმიტის) 20 პროცენტს.

12. კომისია, როგორც წესი, განიხილავს მხოლოდ იმ მომხმარებლებისა და გამანაწილებლების პრეტენზიებს ელექტროენერგიის დაბალი ხარისხის გამო, რომლებსაც მთლიანად აქვთ გადახდილი მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება გასულ 6 თვეში.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პროგრესის“ შექმნის შესახებ

1. **მოწონებულ** იქნეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბელლისა“ და რუსეთის ფედერაციის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ეკოსტროის“ ინიციატივა რუსთავში პურპროდუქტების მწარმოებელი ერთობლივი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პროგრესის“ შექმნის შესახებ.

2. შპს „პროგრესი“ განთავსდეს რუსთავის ლუდისა და ხილეული წყლების ქარხნის გამოუყენებელი სიმძლავრეების ბაზაზე.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ შპს „პროგრესი“ რუსეთის მხარის ინვესტიციების ხარჯზე უზრუნველყოფს დღე-ღამეში 120 ტონა წარმადობის თანამედროვე ტექნიკურ დონეზე აღჭურვილი წისქვილკომბინატის შექმნას და 30-40 ათასი ტონა ხორბლის შემოტანას რესპუბლიკაში.

4. დაევალოთ:

— ქალაქ რუსთავის მერიას და ქვემო ქართლის მხარის საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო რწმუნებულის სამსახურს გაუწიონ ქმედითი დახმარება შპს „პროგრესს“ წისქვილკომბინატის უმოკლეს ვადებში საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის;

— საქართველოს რესპუბლიკის სარკინიგზო ტრანსპორტისა და საზღვაო დეპარტამენტებს უზრუნველყონ შპს „პროგრესის“ მიერ რესპუბლიკაში შემოტანილი ხორბლის შეუფერხებელი მიღება, ტრანსპორტირება და დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების შესრულება;

— „საქენერგოს“ დეპარტამენტს უზრუნველყოს შპს „პროგრესის“ წისქვილ-კომბინატის, როგორც პირველი კატეგორიის მომხმარებლის, ელექტროენერგიით შეუფერხებელი მომარაგება.

5. პურზე თავისუფალი ფასების შემოღებამდე შპს „პროგრესის“ მიერ წარმოებული პროდუქციის ნორმირებული მოხმარებისას მასზე გავრცელდეს საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციისათვის მოქმედი წესები.

6. გათავისუფლდეს შპს „პროგრესი“ მოგების გადასახადისაგან 3 წლის ვადით.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 12 ივნისი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

ე. ჯაფარიძის მესტიის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ერეკლე ჯაფარიძე მესტიის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 18 სექტემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

ო. ნაკანის მესტიის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ოთარ ნაკანი მესტიის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 18 სექტემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

მესტიის რაიონში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

მესტიის რაიონში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და კრიმინოგენური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით:

1. მესტიის რაიონის მმართველობის ადგილობრივმა ორგანომ (ე. ჯაფარიძე) კოორდინაცია გაუწიოს თავდაცვის, უშიშროების, შინაგან საქმეთა ორგანოების, მაკონტროლებელი სამსახურების რაიონული სტრუქტურების მუშაობას, რისთვისაც მათი ხელმძღვანელობისაგან მოითხოვოს ანგარიშები და სხვა ინფორმაციები რაიონში კანონიერების დაცვის მდგომარეობის, შექმნილი ოპერატიული და კრიმინოგენური ვითარების, აგრეთვე მისი გამოსწორებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ.

2. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ (დ. იაკობიძე) უზრუნველყოს საბიუჯეტო კრედიტის გამოყოფა ორასი მილიარდი კუპონის ოდენობით მესტიის რაიონისათვის გამოყოფილი მატერიალურ რესურსების შესაძენად და ადგილობრივი რესურსების ასამოქმედებლად.

3. საქართველოს რესპუბლიკის საგარეოეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტმა (ი. ბაჩიაშვილი) უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 14 სექტემბრის 358 ბრძანებულების 22-ე პუნქტით გათვალისწინებული ხე-ტყის მასალის გატანასთან დაკავშირებით მესტიის რაიონის გამგეობისათვის საექსპორტო ლიცენზიის გაცემა.

4. სახელმწიფო მატერიალური რეზერვებიდან დაიჯავშნოს 20 ტონა შაქრის ფხვნილი და 10 ტონა მარილი. საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რეზერვების დეპარტამენტმა (მ. გვიშიანი) გასცეს ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტროზე (მ. ზანკალიანი), აღნიშნული პროდუქტი მესტიის რაიონის მოსახლეობის აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტრომ ერთი თვის განმავლობაში უზრუნველყოს ანგარიშსწორება მატერიალური რეზერვების დეპარტამენტთან ამ საქონელზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებების შესაბამისად და 1995 წლის ბოლომდე დააბრუნოს აღნიშნული პროდუქცია.

5. დაევალოს ნავთობპროდუქტების კონცერნს (თ. შავდათუაშვილი) გადასცეს მესტიის რაიონის გამგეობას 10 პროცენტიანი ნატურით გადასახდელი ნავთობპროდუქტებიდან მიღებული 60 (სამოცი) ტონა ნავთი და 60 (სამოცი) ტონა დიზელის საწვავი წინასწარი ანგარიშსწორების გარეშე.

მესტიის რაიონის გამგეობამ (ე. ჯაფარიძე) უზრუნველყოს ერთი თვის ვადაში მიღებული ნავთობპროდუქტების ღირებულების ჩარიცხვა რესპუბლიკურ ბიუჯეტში.

ნავთობპროდუქტების კონცერნმა უზრუნველყოს 50 ტონა დიზელის საწვავისა და 10 ტონა ბენზინის კონცერნ „საქავტოგზისათვის“ გადაცემა მესტიის რაიონის საავტომობილო გზებისა და ხიდების აღდგენითი სამუშაოების საწარმოებლად.

6. დაევალოს მესტიის რაიონის გამგეობას (ე. ჯაფარიძე) გამოყოფილი საბიუჯეტო კრედიტის ათვისებისას გაითვალისწინოს ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ობიექტების აღდგენისა და საჭირო ინვენტარით მომარაგების ღონისძიებები.

7. საქავტოგზის კონცერნმა (ბ. სარალიძე) უზრუნველყოს მესტიის რაიონში მისასვლელი საავტომობილო გზების (ჯვარი-ხაიშიმესტია-უშგული სავალი ნაწილის გაწმენდის, ლენტეხის მხრიდან მისასვლელი გზის აღდგენის, მდ. მულხურაზე სოფელ მულახში. მდ. ცხენისწყალზე სოფელ ჟახუნდერთან და სოფელ ცანასთან, ზუგდიდი-ჯვარი-მესტიის გზაზე მდ. მაგანაზე ხიდების აშენების) აღდგენა-მშენებლობის სამუშაოთა დროული წარმოება.

8. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა უზრუნველყოს შესაბამისი თანხების გამოყოფა მესტიის რაიონის გამგეობისათვის ერთი ავტომანქანა „უაზ-469“ შესყიდვის მიზნით.

9. განკარგულების შემოწმების კონტროლი დაევალოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის რეგიონების მართვის სამსახურს (თ. ფიფია).

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 18 სექტემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

ალკოჰოლიანი სასმელების, თამბაქოს, ჩაის, საკონსერვო, საკონდიტრო, ხორცისა და რძის ნაწარმის, პურფუნთუშეულის, მცენარეული ზეთის, ლუდის, მინერალური წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების სასაქონლო წარმოებაზე სახელმწიფო ლიცენზირების შესახებ

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი არ ითვალისწინებს რესპუბლიკაში ალკოჰოლიანი სასმელების, თამბაქოს, ჩაის, საკონსერვო, საკონდიტრო, ხორცისა და რძის ნაწარმის, პურფუნთუშეულის, მცენარეული ზეთის, ლუდის, მინერალური წყლების და უალკოჰოლო სასმელების სასაქონლო წარმოების სახელმწიფო ლიცენზირებას, რის გამოც, ხშირად ხდება ფალსიფიცირებული პროდუქციის წარმოებისა და მომხმარებელთა ინტოქსიკაცია.

მეწარმეთა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით:

1. სახელმწიფო ლიცენზირების წესის შესახებ კანონის მიღებამდე სახელმწიფო ლიცენზირებას დაექვემდებაროს ალკოჰოლიანი სასმელების, თამბაქოს, ჩაის, საკონსერვო, საკონდიტრო, ხორცისა და რძის ნაწარმის, პურფუნთუშეულის, მცენარეული ზეთის, ლუდის, მინერალური წყლების და უალკოჰოლო სასმელების სასაქონლო წარმოება.

2. სახელმწიფო ლიცენზირების წესის შესახებ კანონის მიღებამდე ალკოჰოლიანი სასმელების, თამბაქოს, ჩაის, საკონსერვო, საკონდიტრო, ხორცისა და რძის ნაწარმის, პურფუნთუშეულის, მცენარეული ზეთის, ლუდის, მინერალური წყლების და უალკოჰოლო სასმელების სასაქონლო წარმოებაზე სახელმწიფო ლიცენზირების გაცემა მოხდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს რესპუბლიკაში ალკოჰოლიანი სასმელების, თამბაქოს, ჩაის, საკონსერვო, საკონდიტრო, ხორცისა და რძის ნაწარმის, პურფუნთუშეულის, მცენარეული ზეთის, ლუდის, მინერალური წყლების და უალკოჰოლო სასმელების სასაქონლო წარმოების სახელმწიფო ლიცენზირების შედეგად მიღებული მოსაკრებლების სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტში, ასევე ლიცენზიის გამცემი ორგანიზაციის ანგარიშზე მოსაკრებლების განაწილების წესი.

ე. შევარდნაძე

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ვითარება ჩეჩნეთში კვლავ დაძაბულია

მოლაპარაკება სამხედრო საკითხთან ბლოკის რეალიზაციის მიზნით გაურკვეველი დროით შეწყვეტილია. რუსეთის მხარის განცხადებით, ჩეჩენი სეპარატისტები არღვევენ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, ცეცხლს უშენენ ფედერალური ჯარების საგუშაგოებს. მიუხედავად ამისა, რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი არ აპირებს ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღებას — ჩეჩნეთში საგანგებო რეჟიმის შემოღებას. ამასთან აღნიშნავენ, რომ ვითარების სერიოზული გაუარესების შემთხვევაში, მას შეუძლია ეს უფლება გამოიყენოს. ეს განაცხადა სახელმწიფოს მეთაურის პირველმა თანაშემწემ ვიქტორ ილიუშინმა, მისი სიტყვით, ხელისუფლების ფედერალურმა ორგანოებმა, ჯერჯერობით, ვერ გამოიყენეს ყველა არსებული შესაძლებლობა, რათა ჩეჩნეთში მოლაპარაკების პროცესი სტაბილურ ვითარებაში მიმდინარეობდეს ისე, რომ არ გადაუხვიონ პრობლემის მშვიდობიან გადაწყვეტას.

ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა არ დაუბრუნდნენ ომის ლოგიკას — მოუწოდა ჩეჩნეთში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიის მეთაურმა შანდორ მასაროშმა, რომელმაც დროებით შეამცირა გროზნოში მისიის რიცხვი. ამავე დროს რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა ინტერფაქსის სააგენტოს განუცხადა, უნდა გამკაცრდეს ჩეჩნეთის მთელ ტერიტორიაზე ფედერალური ჯარების მოქმედება ბოევიკების წინააღმდეგ.

თათბირი კრემლში

პრეზიდენტმა ბორის ელცინმა სამშაბათს თათბირი გამართა თავის თანაშემწეებთან ფართო წრის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში. მან აღნიშნა, რომ ელცინი დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს სახელმწიფო სათათბიროს საქმიანობას პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის განახლებისა და მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების შესაძლებლობასთან დაკავშირებით და დასძინა, რომ პრეზიდენტი ქვეყანაში დესტაბილიზაციის წინააღმდეგია, რომ თათბირზე დიდი შეშფოთება გამოითქვა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობის თაობაზე. როგორც ცნობილია, ხელისუფლების ზედა ეშელონებში არ ფარავენ. უკმაყოფილებას საგარეო საქმეთა მინისტრის ანდრია კოზირევის საქმიანობის გამო და მის გადადგომას მოითხოვენ. აღსანიშნავია ისიც, რომ პრეზიდენტი განიხილავს მთავრობაში ზოგიერთი გადაადგილების შესაძლებლობას. თათბირზე დიდი ყურადღება დაეთმო პრეზიდენტის ვიზიტების მომზადებას საფრანგეთსა და ნიუ-იორკში გაეროს 50-ე წლისთავის ზეიმზე, სადაც იგი მნიშვნელოვანი სიტყვით უნდა გამოვიდეს, თუმცა, სახელმწიფოს მეთაურების გამოსვლებს რეგლამენტით მხოლოდ შვიდი წუთი აქვს გამოყოფილი.

რუსეთის ამომრჩეველთა განწყობილება

სრულიად რუსეთის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ცენტრის მონაცემებით გამოკითხულთა 33 პროცენტი წინააღმდეგია, რომ სახელმწიფო სათათბიროს 17 დეკემბრის არჩევნებში კომუნისტებმა აბსოლუტური უმრავლესობა მიიღონ. 27 პროცენტი ამას დადებითად ეკიდება. რესპოდენტთა 20 პროცენტი გულგრილადაა განწყობილი და ამდენივეს პასუხის გაცემა უძნელდება. როგორც აღნიშნავენ, კომუნისტებისადმი ყველაზე უფრო ნეგატიურად არიან განწყობილი დამოუკიდებელი მეწარმეები, მოსამსახურეები, სპეციალისტები, ხელმძღვანელობა, სტუდენტები, მოსწავლეები და უმუშევრები, კარგად — პენსიონერები, სამხედროები და მუშები.

ამერიკელი გენერლის განცხადება

ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა დირექტორმა კარტერის ადმინისტრაციაში და ყოფილმა ნატოს სარდალმა სამხრეთ ევროპაში სტენფილდ ტერნერმა დასვა საკითხი ნატოს დაშლის შესახებ. მისი სიტყვით „ამ ალიანსმა თავისი როლი უკვე შეასრულა. ეს მან განაცხადა ნორვეგიაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე. მისი აზრით, ამ ორგანიზაციამ უკვე მიაღწია ყველა მიზანს, ამჟამად კი სიტუაცია შეიცვალა. მაგრამ კონფერენციის მონაწილეებმა არ გაიზიარეს მისი მოსაზრება.

ნატოს საბჭოს სხდომა ბრიუსელში

ნატოს საბჭოს სხდომაზე ევროპის გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა, გენერალმა ჯორჯ ჯოულვენმა წარადგინა ბოსნია-ჰერცეგოვინაში მომავალი სამშვიდობო ოპერაციების ზოგადი კონცეფცია. ეს კონცეფცია ითვალისწინებს ბალკანეთში მსხვილი მრავალეროვნული კონტინგენტის (სამოცი-ოთხმოცი ათასი) განლაგებას. ჯერჯერობით გადაუჭრელი რჩება მთელი რიგი პოლიტიკური პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ამ სამშვიდობო ოპერაციასთან. ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული რუსეთის მონაწილეობის პრინციპები და მასშტაბი.

ვარაუდობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი დაახლოებით 25-25 ათას სამხედრო მოსამსახურეს გზავნიან, დიდი ბრიტანეთი — 15 ათასამდე (მას უკვე ბალკანეთში გაგზავნილი ჰყავს 8 ათასი ჯარისკაცი. იქ იმყოფება აგრეთვე 7 ათასი ფრანგი სამხედრო მოსამსახურე). ამჟამად ამუშავებენ ისეთ ვარიანტს, რომელიც რუსეთისათვის იქნებოდა მისაღები. ოპერაციების საერთო სარდლობას ნატო განახორციელებს.

საგულისხმო გადაწყვეტილება

ტურინში (იტალია) ევროპის ასამბლეის მონაწილეებმა საგანგებოდ განიხილეს ნატოს გაფართოების საკითხი და მხარი დაუჭირეს ამ პროგრამის განხორციელების შეჩერებას. როგორც აღნიშნავენ, თუმცა, დიდი ბრიტანეთი სიტყვით ამ პროგრამას უჭერს მხარს, მაგრამ სინამდვილეში მისი წინააღმდეგია. პარლამენტარების განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია რუსეთის რეაქციამ ამგვარ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ხაზს უსვამენ განცხადებებს იმის შესახებ, რომ ამას შესაძლოა მოჰყვეს „ცივი ომის“ განახლება, რუსეთის ჯარების ევროპისაკენ გადაადგილება, რაც საფრთხეს შეუქმნიდა ყოველივე დადებითს, რაც დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ბოლო ხანებში იქნა მიღწეული. ასამბლეის მონაწილეები ხაზს უსვამდნენ ევროპის უშიშროების საკითხებში რუსეთის გადამწყვეტ როლს, რომლის ინტერესები უშიშროების ახალი სისტემის შექმნასთან დაკავშირებით გათვალისწინებული უნდა იქნეს. ამასთან დაკავშირებით მიმომხილველნი აღნიშნავენ, რუსეთი აპირებს შექმნილ სიტუაციაში თავდაცვის ახალი დოქტრინის შემუშავებას.

უკრაინაში ემზადებიან კანცლერ კოლის ვიზიტისათვის

კიევი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ჰელმუტ კოლის უკრაინაში ვიზიტის მოსამზადებლად, რომელიც მომავალი წლის დამდეგისათვის არის განზრახული, 12 ოქტომბერს უკრაინის დედაქალაქში ჩავიდა გერმანიის ფედერალურ სამინისტროთა სტატსმდივნების დელეგაცია.

აზერბაიჯანის პარლამენტის არჩევნები ფინიშის სწორზე გავიდა

ბაქო. ფინიშის სწორზე გავიდა აზერბაიჯანის პარლამენტის არჩევნები, რომელიც პირველად გაიმართება მაჟორიტარულ და პროპორციულ საფუძველზე.

ბოლო მონაცემებით, საპარლამენტო სავარძლების თავისუფალ მაძიებელთა რიცხვმა ათასს გადააჭარბა. პოლიტიკურ ორგანიზაციათა შორის ასეთი თექვსმეტია, მათ შორის შეურიგებელი მოწინააღმდეგენი — სახალხო ფრონტი და აზერბაიჯანის კომპარტია, რომელთა მონაწილეობა არჩევნებში დიდხანს კითხვის ქვეშ იდგა.

მოკლედ

მოსკოვი. დღეს დილით ყაჩაღურად დაესხნენ თავს რადიოსადგურ „ნადეჟდას“ გენერალურ დირექტორს ირინე კოროლიოვას.

ორი უცნობი ახალგაზრდა მას თავს დაესხა დილის 7 საათსა და 30 წუთზე საკუთარი ბინის კიბესთან, როცა ირინე სამუშაოზე მიდიოდა. ქალს დალილავებული აქვს სახე, ექიმებს ტვინის შერყევის ეჭვი აქვთ.

რადიოსადგური „ნადეჟდა“ დასპეციალებულია მხოლოდ ქალთა პრობლემატიკაზე, მარგამ კოროლიოვას თანამოსამსახურეებს ეჭვი აქვთ, რომ მომხდარი ამბავი უშუალოდ დაკავშირებულია მის ჟურნალისტურ საქმიანობასთან.

კიევი. უკრაინის პარლამენტი აპირებს დღეს „ვეტო“ დაადოს პრეზიდენტის ბრძანებულებას სახელმწიფოს მეთაურისათვის ეროვნული გვარდიის დაქვემდებარების შესახებ. ოთხშაბათს გამართულ თავდაცვისა და უშიშროების საკითხთა კომისიის სხდომამ გამოიტანა დასკვნა, რომ, ამ დოკუმენტს როცა იღებდა, ლეონიდ კუჩმა მართლსაწინააღმდეგოდ იქცეოდა.

ტამბოვი. ტამბოველ დეპუტატთა განზრახვა, აღორძინონ ქალაქში საბჭოთა ხელისუფლება, იურიდიულად გამართლებულად ცნეს ქვეყნის თვალსაჩინო იურისტებმა.

იტარ-ტას-საქინფორმი. 12 ოქტომბერი

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტუალური ინტერვიუ

„ჩემში ოპტიმიზმს რეალობა სჭარბობს“

გაზეთების „საქართველოს რესპუბლიკის“, „ლიტერატურული საქართველოსა“ და „კავკასიონის“ შეკითხვებზე უპასუხებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე

— ბატონო ასლან, საქართველ- ში ბოლო ხანს მომხდარი მძა- რი მოვლენების ფონზე ისმება თი მეტად სერიოზული საკით- : თქვენ ჯერ კიდევ მიმდინარე ს 12 თებერვალს გაზეთ „მო- სკიე ნოვოსტიში“ ამხილეთ ოების სამსახურის ყოფი- შეფი იგორ გიორგაძე ტერაქ- ბის ორგანიზებაში და საქვეყ- დ განაცხადეთ: „უშიშროების ახური თვითონ გეგმავს, ახორ- ლებს და ფარავს ტერორის- აქტებს“. სამწუხაროდ, მა- თქვენს ამ განცხადებას უმ- ესი ხელისუფლების მხრიდან ვატური რეაქცია არ მოჰყო- . რა მიზეზით?

— ვერ დაგეთანხმებით იმა- , რომ მას სათანადო რე- ცია არ მოჰყოლია. იგი არა მა- ტ პარლამენტის, არამედ ფა- ო საზოგადოებრიობის მსჯელ- ს საგნად იქცა.

ისმება კითხვა: რისთვის გაკეთ- მაშინ ასე გაშიშვლებული და რდაპირი მისამართით მიმართუ- განცხადება დიდი პრესის სა- ლებით? გაკეთდა იმიტომ, იმ დროს ჩვენს ხელთ არსე- ი ოპერატიული მონაცემებ- მზადდებოდა სახელმწიფო გა- ტრიალება. სწორედ ამ საჯარო ლებამ შეაშფოთა და შეაყოვნა ატრიალების მომზადებაში ჩა- ული ძალები და ჩანაფიქრი რო მოხერხებული დროისათ- ს გადაიდო, გახსოვთ, ალბათ, მ უშიშროების სამსახურის ლმძღვანელის სამსახურიდან გა- ვისუფლების საკითხი დადგა, მაგრამ ულმა ძალებმა, რომელთაც ენს შორის კონფლიქტის გაღ- ება უფრო აძლევდათ ხელს, დრე სახელმწიფოს უშიშროება, , როგორც იტყვიან, „მუხრუ- ჯში დაუშვეს“.

შეიძლებოდა თუ არა სახელმ- ფოს მეთაურს დაუყოვნებლივ მკვრელი ზომები გაეტარები- ? მან ამის წინათ ამის შესახებ მართალდამცავი ორგანოების ქმედებაზე ამომწურავად განმარ- ა. მაგალითისათვის ავიღოთ პა- ლელური შემთხვევა. ჩვენი ორ- ანოები გვატყობინებდნენ, რომ ები ასანიძეები ხელისუფლებ- „პირველი ეშელონის“ ხუთი არმომადგენლის, მათ შორის მს ფიზიკურ განადგურებას აპ- რებდნენ. დილის სამ საათზე ხე- ვაჩაურის რაიპოლიციის განყო- ილების უფროსმა, აწ განსვენე- ლმა ვაჟა გოგიტიძემ, უკვე მე- მდენედ, კატეგორიულად დაა- ნა საკითხი: „თუ დღეს აღნიშ- ლ პირებს არ ავიყვანთ, შემდეგ ნებ გვიანიც დარჩესო“, მე კი, ორც ადრე, კვლავ უტყუარ დადასტურებელ ფაქტოლოგი- მასალას ვითხოვდი. იმავე სა- ოს, 10 საათზე გოგიტიძე მხე- რად მოკლეს მანქანაში. მას დროულად ხუთი კაცი ესრ- , შემდგომში დადასტურდა ორც ასეთი სიის არსებობა, ვე მკვლელთა ვინაობაც, რომ- ბიც სახალვაშოში მომხდარი ბილი ფაქტის დროს შევიპყა- . მათ ძმები ასანიძეების ახ- ბელი ნათესავი, მრავალჯერ ამართლევი დავით ასანიძე ხე- ძღვანელობდა. ბანდიტური აქ- ს შემდეგ კი, სხვა მონაწილე- ან ერთად, ისინი ასანიძეთა -ერთი ძმის სახლში იმალე- დნენ.

სე რომ, ძალიან ძნელია აღ- ლად მიიღო ისეთი გადაწყვეტი- ბა, რომელიც ადამიანის ბედს საზღვრავს, თუკი მას სერიოზ- ლი ფაქტოლოგიური საფუძვე- არ უდევს. ისე კი დაკვირვე- ლი ვარ, საერთოდ მოვლენები ოქოს ჩვენდა უნებურად თა- თავად ვითარდება და თავისთა- ად იხსნება კულმინაციურ წე- ლში და მიდის თავის ლოგი- რ დასასრულამდე. რა თქმა უნ- , ხნობს და აუცილებელიცაა ისი მართვა, ამიტომაცაა სახელ- ფო აპარატი, მაგრამ ცხოვრე- ყოველთვის როდია ეს შე- ლებელი.

— როგორ ფიქრობთ, რა მო- ებოდა საქართველოში 29 აგ- ტოს ბოლომდე რომ განხორ- ლებულიყო ჩანაფიქრი?

— ერთხაზოვნად მას გარდაუ- ლად მოჰყვებოდა ხელისუფლე- უზურპაცია. დრო „შესანიშნა- “ იყო გათვლილი. შიგა სოც- ალური და პოლიტიკური პრობ- მებით დამძიმებულ ხალხს, ალ- , მიუხედავად შინაგანი პრო- ტისა მათთვის მიუღებელი ძა- ის მიმართ, რამდენადაც დიდი უნდა ყოფილიყო მისი „დუღილის რატურა“, ალბათ არ ეყო- და ძალა იმისათვის, რომ ერთ ულად შეკრული წინ აღდგომო- და წინასწარ დაგეშილ კბილება- შეიარაღებულ ძალას.

მიტომაც არ მგონია, რომ ქვე- ში ახალი სამოქალაქო ომი წყებულიყო. ის კი გარდუვა- იყო, რომ ქვეყანას დიდი ხნით სუდარა გადაეფარებოდა და დავად საყოველთაო შინა- ი პროტესტისა, საქართველო- მანამდე არნახული განუკით- ძალმომრეობის რეჟიმი გამ- ებოდა.

— ხომ არ გვეტყოდით დამატებით რაიმეს პრესითა და ტელევიზიით მოსკოვში იგორ გიორგაძის ბოლოდროინდელი გამოსვლებისა და საერთოდ მისი პიროვნების შესახებ?

— რაც შეეხება გიორგაძის პიროვნებისა და მისი გამოსვლის შესახებ ჩემს აზრს, ამ თემაზე დღეს არ მინდა ვილაპარაკო. ჩვენი დაპირისპირების მიზეზი ცნობილია. იგი მაშინ მოხდა, როცა მის ხელში დიდი პოტენციური შესაძლებლობები იყო თავმოყრილი. დღეს კი ის წაქცეულია და მისი საქმე შესაბამისი ორგანოების ხელშია, ხოლო წაქცეულთან ბრძოლა ჩემის მხრიდან უზნეობად მიმაჩნია.

დღეს, ალბათ, ყველა შემთხვევაში, გიორგაძის ყოფნა რუსეთში უნდა გამოვრიცხოთ, რადგან ვინ ვინ და მან ხომ კარგად იცის, საქართველოს პროკურატურის მიერ წაყენებული ბრალდებების სიმძიმე და ისიც, თუ როგორი შედეგით დამთავრდება იგი მისთვის ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ.

მისი ადგილსამყოფელის ტერიტორიულად სხვა სიბრტყეში გადანაცვლებაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ იგი მსოფლიოს ფართო საზოგადოებრიობის თვალში ძირითადად პრაქტიკულად იცილებს გარედან მართვადი ელემენტის იარლიყს და დამოუკიდებლად მოქმედ ძალად წარმოსდგება. სწორედ აქედან უნდა ველოდოთ, რომ თუმცა შეიცვლება მისი ბრძოლის ხერხები და მეთოდები, იგი უფრო გათვლილი, აგრესიული და ქვეყნისთვის გაცილებით საშიში გახდება.

ხოლო, რაც შეეხება მის გამოსვლებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მიუხედავად მათი ოპერატიულობისა, მასებთან მიტანას მართალია მცირე, მაგრამ მაინც გარკვეული დრო სჭირდება. ამიტომაც, ალბათ, იგი რამდენიმე ხნით ადრე მომზადებული მასალები უნდა იყოს.

— რატომ მოხდა, რომ პოლიტიკური მკვლელობების ორგანიზატორად უშიშროების სამსახური მოგვევლინა, ანუ ის სისტემა, ვისაც უპირველესად ევალება ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა?

— გამოუსწორებელი შეცდომა იქნება, თუ მოსახლეობის ცნობიერებაში დავნერგავთ იმ აზრს, რომ პოლიტიკური მკვლელობების ორგანიზატორი უშიშროების სამსახურია. ეს აზრი ახლა მძლავრობს საზოგადოებაში და საშიშია იგი ღრმად არ დამკვიდრდეს ფართო მასების შეგნებაში, რადგან მაშინ ეროვნული უშიშროების სამსახურს, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია სუვერენული სახელმწიფოს არსებობა, ათეული წლები დასჭირდება ავტორიტეტის მოსაპოვებლად და განსამტკიცებლად. ერთია უშიშროების მუშაკთა ერთი ჯგუფი, თუგინდ მისი ხელმძღვანელი რგოლი და მეორე, თვით უშიშროების სამსახური.

სხვა იყო უშიშროების სამსახური 30-იან წლებში, როცა დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე ადრე დამოუკიდებელი სახელმწიფოების, დიდი ისტორიისა და კულტურის მქონე ერების ხარჯზე იქმნებოდა კომუნისტური იდეოლოგიით დამუხტული ახალი ტოტალიტარული სახელმწიფო და პრინციპულად სხვაა მათი საქმიანობა და ინტელექტუალური დონე ბოლო ათწლეულებში. მახსოვს 1991 წელი, როცა ამ სამსახურის თავზე უნდობლობის ღრუბელი ჩამოწვა და მისი დაშლისა და ახალი სამსახურის შექმნა დადგა დღის წესრიგში. ამის პრეცედენტებიც გაჩნდა. ამ წინადადებას კი უამრავი მხარდამჭერი ჰყავდა მაშინ ხელისუფლებაში. კარგად მახსოვს, რამდენჯერ გამოგვიგზავნეს და გაცრუებული იმედებით გავაბრუნეთ უკან გაღიზიანებული რაიონული უშიშროების ხელმძღვანელების არავაკანტურ პოსტზე მოვლინებული პირები, რომელთაც გარდა იმისა, რომ აღჭურვილი იყვნენ სათანადო რწმუნებებით, სათანადო არც ცოდნა გააჩნდათ და არც გამოცდილება. ჩვენ ხელუხლებლად შევინარჩუნეთ პროფესიონალი კადრები და ამის დადებითი შედეგები დღეს სახეზეა. ჩვენი უშიშროების სამსახური, საქართველოს ანალოგიური სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, ერთგულად ემსახურებოდა და ემსახურება თავის პროფესიულ მოწოდებას, იცავს სახელმწიფოს ინტერესებს და მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს როგორც ცენტრალურ აპარატში, ისე საზოგადოებაში.

მე ისიც მახსოვს, რა ურთულეს მდგომარეობაში იმყოფებოდა უშიშროების სამსახურის მაშინდელი ხელმძღვანელი ბატონი ოთარ ხატიაშვილი, რომელიც პრინციპულად იცავდა ამ სამსახურის ინტერესებს. ამ სტრუქტურის შენარჩუნებასა და განმტკიცებას მაშინაც შეუვალად ვუჭერდი მხარს. ჩემი ეს პოზიცია ალბათ ბატონ ოთარს დღესაც ახსოვს, ამას ვაკეთებდი მისი თანდასწრებითაც, მაგრამ უფრო მტკიცედ და დაჟინებით მის დაუსწრებლად, რადგანაც ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ ასეთ დაუფიქრებელ ნაბიჯს მომავალში გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვებოდა.

მართალია, ისტორიულად ამ სამსახურის მუშაობაში იყო შავი წარუშლელი ლაქები, რომლებმაც უდიდესი ზიანი მიაყენეს ერს და არამარტო ჩვენს, მათ შორის პირადად ჩემს ოჯახსაც. მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ იგივე ბედი ეწია ამ სამსახურის იმ მნიშვნელოვან ნაწილს, ვინც მაშინ იმ რეპრესიული პოლიტიკური ხელმძღვანელობის კურსს არ აჰყვა ან აღუდგა წინ.

დღეს კი ერთი უდავოა: სახელმწიფომ დაუყოვნებლივ სერიოზულად უნდა იზრუნოს უშიშროების სამსახურის განმტკიცებაზე, მის ყოველმხრივ უზრუნველყოფაზე, ახალი თაობების მომზადებაზე, და არამარტო უშიშროების ხაზით, რადგან საერთოდ ადმინისტრაციულ ორგანოებში, სადაც ხშირად წყდება ადამიანების ბედი, უნდა მუშაობდნენ ყოველმხრივ უზრუნველყოფილი, ზნეობრივად მაღალი, შინაგანი დემოკრატიულობითა და წესიერებით აღსავსე პიროვნებები.

— ბოლო მოვლენების კვალდაკვალ განსაკუთრებით გააქტიურდნენ სამართალდამცავი ორგანოები. ლიკვიდირებულია დანაშაულებრივი ბანდები, ნეიტრალიზებულია „მხედრიონი“. როგორ შეფასებას მისცემდით საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობას?

— ქვეყნის განვითარების ამათუიმ ეტაპზე ძნელია მოიძებნოს ისეთი პერიოდი, როცა სამართალდამცავმა ორგანოებმა ერთიანი ძალით გაილაშქრეს ძალმომრეობის წინააღმდეგ.

არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმას, რაც გაკეთდა პირადად საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბატონ შოთა კვირაიას მიერ. მან თავისთავზე აიღო პასუხისმგებლობა და უზარმაზარი პირადი რისკის ფასად უმოკლეს ვადებში უვნებელყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მოთავეთა მნიშვნელოვანი ნაწილი, გახსნა უმძიმესი დანაშაულობები და საქვეყნოდ ფარდა ახადა მათ ორგანიზატორებს; ამით ერთის მხრივ არამარტო თავიდან აგვაცილა უზარმაზარი სახელმწიფოებრივი საფრთხე, არამედ უაღრესად აამაღლა შინაგან საქმეთა ორგანოების ავტორიტეტიც ფართო საზოგადოებრიობის თვალში.

მართალია ჯერ კიდევ, ხანამ არ აღმდგარა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და არ მომხდარა ერის სრული კონსოლიდაცია, სრულ სიმშვიდეზე ფიქრი ნაადრევია, და მაინც, როგორც იქნა ქვეყანამ დიდი შვებით ამოისუნთქა. ხალხს გარეთ გამოსვლის უწინდებურად აღარ ეშინია, გაჩნდა იმედი სრული სიმშვიდის დამკვიდრებისა, რასაც უცილობლად მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება უნდა მოჰყვეს.

მიუხედავად აჭარაში არსებული სტაბილური მდგომარეობისა, ჩვენც უზომო შვება ვიგრძენით. მართალი გითხრათ, ჩემში ოპტიმიზმს ყოველთვის რეალობა სჭარბობს და მმართავს, ამიტომაც ქვეყანაში მობოგინე შეიარაღებულ ბანდებს სამოქალაქო ომში რომ არ ჩავეთრიეთ, დასავლეთ საქართველოში მიმდინარე დაპირისპირების დროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის კიდევ ერთი საშიში კონფლიქტის კერა რომ არ შექმნილიყო, ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრები ხერგილებით გავამაგრეთ, ისევე როგორც თბილისის მისადგომებთან, სადღელამისო მორიგეობა დავაწესეთ და საიმედოდ გადავუღობეთ გზა იარაღის შემოტანას, დესტრუქციული და კრიმინოგენული ძალების თარეშს.

მადლობა ღმერთს, დადგა ის დრო, როცა ამან თავისი ფუნქცია ამოწურა და რამდენიმე დღეში სიამოვნებით ჩვენთანაც დავიწყებთ მის აყრას.

— მომავალ არჩევნებში სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, მოქალაქეთა კავშირთან ერთ ბლოკში გაერთიანდა. შემდეგ ვითარება შეიცვალა და ცალ-ცალკე არჩიეთ არჩევნებში მონაწილეობა. როგორ ფიქრობთ, რა შედეგებს მიაღწევთ ნოემბრის არჩევნებში?

— მოქალაქეთა კავშირის სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირთან ერთ ბლოკში გაერთიანება მოქალაქეთა კავშირის ხელმძღვანელი რგოლის შეკრებაზე გადაწყდა. რა თქმა უნდა, ეს გადაწყვეტილება ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან აღორძინების კავშირი პარლამენტში სახელმწიფო მეთაურის უცვლელი მხარდამჭერი იყო.

ჯერ ერთი, აღმოჩნდა, რომ ერთიან სიაში, ერთად ვხვდებოდით თავისი საქმიანობითა და მიზნებით ჩვენთვის მიუღებელ აჭარასთან დაკავშირებულ კონკრეტულ პირებთან. ამის შესახებ ჩვენ დაუფარავად სათანადო განმარტებებიც მივეცით, ისევე, როგორც, ადრე სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შეფის საქმიანობისა და მიზნების შესახებ.

დაიმახსოვრეთ: ისევე, როგორც ჩვენი წინა — მიმდინარე წლის 12 თებერვალს პრესის საშუალებითა და შემდგომში გაკეთებული არაერთი გაფრთხილება მაშინ ბევრმა მთელი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობით ბოლომდე არ გაისიგრძეგანა, იგი აგვისტოს ბოლოს მთლიანად დადასტურდა, ასევე ამ პირთა ქვეყნის მთლიანობისა და სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართული დესტრუქციული მიზნები და გეგმები მართვადია და კარგა ხანია დასახულია. დღეს იგი ნელა ღვივის, მაგრამ მის პრაქტიკულ ქმედებებსა და შედეგებს სულ უახლოესი მომავალი დაგვანახებს.

და მაინც მინდა ერთხელ კიდევ გავიმეორო: თუკი ჩვენ კვლავ ჩასაფრების, ურთიერთდაპირისპირების, დახუნტების მიზნით და გზით ვიარეთ, ქვეყნისა და ხალხისთვის გასავლელი გზა შეიძლება უფრო რთული დარჩეს, ვიდრე — განვლილი.

და მეორეც, ერთიანი ბლოკის შექმნის შემთხვევაში, საერთო სია თითქმის ორჯერ მცირდებოდა, და ჩვენთვის მიუღებელი კომპრომისის შემთხვევაშიც კი ახალ პარლამენტში ჩვენვე გზას ვუღობავდით ორივე სიიდან წარმოდგენილ ღირსეულ კანდიდატებს.

საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად მოვეთათბირეთ სახელმწიფოს მეთაურს და შევთანხმდით, რომ არჩევნებში ცალ-ცალკე მივიღებდით მონაწილეობას, ხოლო მომავალ პარლამენტში, ისევე როგორც წინათ, ყველა ჯანსაღ ძალებთან ერთად, ერთიან ბლოკში ვიქნებოდით. ამასთან, აღორძინების კავშირის ხელმძღვანელობა ეჭვობდა: აქაც ჩვენი ურთიერთშეთანხმებით მიღებული გადაწყვეტილება ზოგიერთებს ხელზე არ დაეხვია და კვლავ ურცხვად „სეპარატიზმად“ არ მოენათლა. ამიტომაც, ერთ-ერთ ბლოკს, რომელმაც მანამდე მოგვცა წინადადება ერთ ბლოკში გაერთიანებაზე, შევახმიანეთ ზუსტად ასეთივე განმარტებით. საბოლოოდ კი სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი დამოუკიდებლად გამოვიდა საარჩევნო ასპარეზზე.

— თქვენ თქვენი კანდიდატურა მოხსენით. პრეზიდენტობის არჩევნებში. როგორ ახსნით ამ ფაქტს?

— აქ მხოლოდ და მხოლოდ სწორი განმარტება უნდა მივცეთ მკითხველს.

შენი კანდიდატურა რომ მოხსნა, ჯერ იგი ოფიციალურად უნდა წააყენო, ან ოფიციალურად უნდა მისცე თანხმობა წინადადებაზე პარტიას, კავშირს, მხარდამჭერთა საინიციატივო ჯგუფს ან ბლოკს.

ასე რომ, კანდიდატურის მოხსნა არ დამჭირვებია, რადგან ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე არა თუ არ წამომიყენებია თავი ან თანხმობა მიმიცია, არამედ არასდროს არც მიფიქრია ამაზე, ხოლო რაც შეეხება პარტიას, რომელმაც ეს აზრი წამოაყენა, ეს მათი დადებითი დამოკიდებულების გამოხატულებაა აჭარაში არსებული სტაბილური მდგომარეობის, მიმდინარე აღმშენებლობითი პროცესებისადმი და ამის გამო, მათ ცუდს ვერაფერს დავწამებ.

— მაშინ რა არის თქვენი წინასაარჩევნო ბრძოლის მიზანი?

— ვერ დაგეთანხმებით ჩვენს წინასაარჩევნო მუშაობას ბრძოლა ვუწოდოთ, რამეთუ, სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის ამოცანებში არ შედიოდა და არ შედის არც ხელისუფლებისათვის ბრძოლა და არც პორტფელების განაწილება. ჩვენი უმთავრესი ამოცანაა აღორძინების კავშირის შეყვანით მომავალ პარლამენტში შევიდნენ მაღალი ზნეობისა და ჯანსაღი პატრიოტული [illegible] წონის პირები, რომელთაც უნარი შესწევთ თავის ამომრჩევლებზე დაყრდნობით, დღენიადაგ მუხლჩაუხრელად სიტყვით და საქმით ილვაწონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და საყოველთაო კონსოლიდაციისათვის, [illegible] სოციალური პრობლემების გადაჭრისა და ქვეყნისა და რესპუბლიკის მოსახლეობის შემდგომი ეკონომიკური და სულიერი აღორძინებისათვის.

ვსარგებლობ რა წინასაარჩევნო პერიოდით, ვინც მოწოდებული და მზად არის [illegible] ძალით, უმოკლესი გზით პრაქტიკულად ვილვაწოთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ჩვენი ახალგაზრდა თაობების ფართო ასპარეზზე გაყვანისთვის აუცილებელი საფუძვლების მოსამზადებლად და საქართველოს მთელი მოსახლეობის—მიუხედავად მათი მრწამსის, ეროვნების თუ სოციალური ფენისა — კეთილდღეობის ასამაღლებლად, ხმა მივცეთ სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირს.

სულიერება

კულტურული სივრცე არსებობს

მიუხედავად პოლიტიკოსთა მცდელობისა, რომლებმაც ერთი ხელის მოსმით მოხაზეს სახელმწიფო საზღვრები და ყველგან საბაჟოები დააყენეს, ყოფილი სსრ კავშირის კულტურული სივრცე ჯერაც არსებობს. არა სახელმწიფო დონეზე — ამას, როგორც ყოველთვის, ვერ სწვდება ბიუჯეტი — არამედ მარტოხელა ენთუზიასტების ძალისხმევის წყალობით. ისინი ქმნიან ფონდებს და საზოგადოებებს, დაეძებენ სპონსორებს, აწყობენ ფესტივალებს, დათვალიერებებს, საღამოებს, რათა შეინარჩუნონ ინტელექტუალური სივრცე, რომელიც სულ უფრო მეტად ვიწროვდება მატერიალური ინტერესების შემოტევის გამო. ქვის სროლის ჟამს ვიღაც ცდილობს შეაგროვოს ისინი. და კვლავინდებურად არ ნელდება რუსეთის ინტერესი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, იმ პატივსაცემი სახელებისადმი, რომელთაც რუსეთში საქართველოზე ნაკლები მოწიწებით როდი ეკიდებიან.

მერაბ მამარდაშვილს 15 სექტემბერს 65 წელი შეუსრულდებოდა, და ეს დღე არც მოსკოვში დავიწყებიათ. „ობშჩაია გაზეტამ“ მთელი გვერდი მიუძღვნა მამარდაშვილს, დაბეჭდა იმ ადამიანთა მოგონებანი, ვინც ახლოს იცნობდა მას, გამოაქვეყნა თვით ფილოსოფოსის ჩანაწერები. მეგობრების ძალისხმევით რუსულ ენაზე გამოდის მამარდაშვილის წიგნები, რომლებსაც საფუძვლად დაედო მისი ლექციების ციკლები. „კარტეზიული განსჯის“ შემდეგ გამომცემლობა „ად მარგინემმა“ უნდა გამოუშვას „ლექციები პრუსტის შესახებ“. მოსკოვში არსებობს მერაბ მამარდაშვილის სახელობის ფილოსოფიური გამოკვლევების ფონდი, ხოლო ნოემბერში ფილოსოფიის ინსტიტუტში გაიმართება მისდამი მიძღვნილი კითხვა, ამჯერად პრუსტის შემოქმედებაზე.

მამარდაშვილი — ფილოსოფოსი და „უცნობი სამშობლოს“ მოქალაქე კვლავინდებურად აღელვებს თანამედროვეებს, იმიტომ, რომ მისი ფილოსოფია — „ეს არის არა შემეცნების ფილოსოფია, არამედ ცდა, შემოგვთავაზოს გარემომცველ სამყაროში ქცევის გარკვეული ხერხი, მას აწუხებდა ერთი პრობლემა. როგორ გაიგოს ადამიანმა არაადამიანური სამყარო, რომელშიც იგი ცხოვრობს?“.

სულ ერთი ციტატა „ლექციებიდან პრუსტის შესახებ“: „აუხსნელია დროისა და ყოფიერების საიდუმლო. მე შევიცანი საქართველოს ტრაგედიის აზრი, თუ რაღაც გამძიმებს და სერიოზული ხარ — მაშასადამე, ჯერ არ ყოფილხარ თავისუფალი... და სასწაული ხდება მხოლოდ სასოწარკვეთილების სამანს მიღმა, მეორე, ახალ სიცოცხლეში. აქ კი შეუძლებელი ტრაგედიის კომედიაა, სამყარო არ არის მშვენიერი, ჩემი სერიოზულობა არ არის მისი მხსნელი. ფილოსოფიამ უნდა რეკონსტრუქცია ჰყოს ის, რაც არის. და გაამართლოს ეს“.

ეს 1990 წლის იანვარში დაიწერა.

და კიდევ ერთმა ქართულმა სახელმა გაიჟღერა სექტემბრის მოსკოვში. „იზვესტიის“ გამომცემლობამ, მოსკოვის კულტურის ფონდმა, ანდრია ტარკოვსკის ფონდმა „მოსკოვის სკოლის“ შემოქმედებითმა სახელოსნოებმა, „ინკომბანკის“ ფინანსური მხარდაჭერით მოაწყვეს თენგიზ აბულაძის ხსოვნის მსოფლიო კინოხელოვნების შედევრების ფესტივალი.

საფესტივალო ჩვენებაზე წარმოდგენილი იყო ქართველი რეჟისორის ტრილოგია — „ვედრება“, „ნატვრის ხე“, „მონანიება“, რომლებსაც განიხილავდნენ მსოფლიო კინოხელოვნების კონტექსტით ისეთი ფილმების გვერდით, როგორიც არის ლ. ვისკონტის „ღმერთების დალუპვა“, ა. ვაიდას „არხი“, ფ. შლენდორფის „თუნუქის დოლი“, ი. ბერგმანის „მეშვიდე ბეჭედი“, ფ. ფელინის „ამარკორდი“. ა. ტარკოვსკის „ზვარაკი“.

ამ გამოჩენილ კინორეჟისორთა სახელები, ფესტივალის ორგანიზატორთა ჩანაფიქრით, აერთიანებს არა უბრალოდ ფილმების უმაღლეს მხატვრულ დონეს, არამედ რაღაც უფრო ამაღლებულს. ისინი შეიცავენ ინფორმაციის, ინტელექტუალური, ისტორიული, სულიერი ინფორმაციის კონცენტრირებულ ნაკადს. ყველა ეს ფილმი, ერთად აღებული, ქმნის დიად მხატვრულ ტექსტს — ჩვენი ყოფიერების მატიანეს, მასში აღბეჭდილია ეპოქისა და ადამიანის სულის სიცოცხლის ისტორია.

წუთისოფლის კონცეფციის ანალიზი ყოველი ხელოვანის უზენაესი მიზანია. და თენგიზ აბულაძეს ეს ესმოდა ისე როგორც სხვას არავის.

გაუგეს კია მას ბოლომდე თანამედროვეებმა, დაინახეს ჯეროვნად სიცოცხლეში? კინოს ისტორიკოსებს მიაჩნია, რომ ვერა, ვერ გაუგეს. მისი ჟამი კიდევ დადგება, — როდესაც ადამიანები შეძლებენ ზურგი შეაქციონ ამქვეყნიურ მოვლენებს და მარადიულობას მიაპყრონ მზერა.

ფესტივალის გახსნაზე ნაჩვენები დოკუმენტური კადრები, რომლებიც თენგიზ აბულაძის უკანასკნელ ტელეინტერვიუს ასახავდნენ, მართლაც რომ გულში ჩამწვდომი და მწველი იყო: მისუსტებული გაბზარული ხმა, მშვიდი ბრძნული მზერა, რომელიც თითქოს ჰორიზონტს მიღმა იყურება, და მისი სიტყვები: „ვინა ვართ, საიდან მოვდივართ? და საით მივდივართ?.

ვერა წერეთელი.

აბულაძის ფილმით დაიწყო ჭეშმარიტი გარდაქმნა

როგორ მივიდა ხალხში „მონანიება“

თენგიზ აბულაძის ეს ფილმი ყველასთვის შოკად იქცა. სინამდვილეში სწორედ მისით დაიწყო გარდაქმნა — არა ფორმალური, არა ოფიციალური, არა სიტყვიერი, არამედ ჭეშმარიტი, ნამდვილი. ჩვენში ფილმი ფართო ეკრანზე გამოვიდა 1987 წლის იანვარში, იმავე წლის მაისში მოიპოვა მსოფლიო აღიარება — მიენიჭა კანის საიუბილეო, მე-40 ფესტივალის ჟიურის დიდი სპეციალური პრიზი, ეკუმენიკური პრიზი და ფიპრესის პრიზი, მაგრამ აქამდე იყო ნახევარი წელიწადი, რომლის განმავლობაშიც ჯერ კიდევ 1984 წელს გადაღებული ფილმი „იატაკქვეშეთიდან“ ამოდიოდა. მე წილად მხვდა ბედნიერება მენახა ეს ფილმი 1986 წლის სექტემბერში. და ჩემი ერთადერთი აზრი იყო — ამას ხომ ვერასდროს ვერ ნახავს ვერავინ...

დღეს თენგიზ აბულაძე უკვე აღარ გვყავს. ხოლო „მონანიება“ გახდა თითქმის ქრესტომათიული, „მორიგე“ სიმბოლო გარდაქმნისა. ფილმი არაერთგზის გასულა ტელევიზიით, კინოთეატრებში. გზა, რომელიც მან გაიარა ეკრანზე მისვლამდე, გახდა სიუჟეტი ერთ-ერთი სერიისა ტელეფილმში „რუსეთის მეორე რევოლუცია“ — „ბრძოლა საჯაროობისათვის“, რომელიც ბი-ბი-სიმ გადაიღო დასავლეთისათვის. ესეც ცვლილებათა მრავლისმომასწავებელი ნიშანი იყო. მაინც, რაოდენ გულმავიწყნი ვართ! დღეს, ალბათ, თქვენ გაგაოცებთ იმის შეხსენება, თუ რაოდენ დიდხანს, წვითა და დაგვით, თითქმის იმედგადაწურული იკვალავდა სურათი გზას ადამიანებისაკენ.

ყოველგვარ ამბავს, დრამატურგიის კანონების მიხედვით, აქვს დასაწყისი, სიუჟეტური „ბიძგი“ და, რაღა თქმა უნდა, ჰყავს მთავარი გმირი. „მონანიების“ საჯაროდ გამოტანის სათავეებთან იდგა კინორეჟისორი **ელემ კლიმოვი..** იგი 1986 წლის მაისში აირჩიეს სსრკ კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველ მდივნად.

მაშინ ყურმოკვრით გავიგეთ, რომ საქართველოში თენგიზ აბულაძეს გადაუღია ანტისაბჭოური, ანტიიმპერიული, ანტისტალინური ფილმი და მისი „ფარული“ პროდიუსერი ყოფილა თვით შევარდნაძე. შეგახსენებთ — ეს 1986 წელია, როდესაც არავითარი „ანტისაბჭოურის“ ხსენებაც არ იყო! ხოლო კინემატოგრაფისტთა კავშირში, რომელიც მაშინ უკვე გავლენიან პოლიტიკურ ძალად იქცა (კავშირის შენობას „თავისუფლების კუნძულსაც“ კი უწოდებდნენ), გახურებული სხდომები ჰქონდა საკონფლიქტო კომისიას: უყურებდა სხვადასხვა დროს აკრძალულ სურათებს, და ისინი ემზადებოდნენ ეკრანზე გასასვლელად.

საქართველოს უშკომმა მაშინ ჩებრიკოვს მოახსენა: აბულაძემ ანტისაბჭოთა ფილმი გადაიღო („მონანიების“ გადაღება მიმდინარეობდა მხოლოდ შევარდნაძის პირადი მხარდაჭერით, საქართველოს ტელევიზიის შეკვეთით, ნახევრად ლეგალურად), და ჩვენ გვეშინია, ვაითუ იგი დასავლეთში მოხვდესო. ეს პროვოკაცია იყო. თბილისში უკვე დაიწყო ჩხრეკა იმ სახლებში, სადაც ფილმს უშვებდნენ და ნახეს სურათი. ამბობენ, **გორბაჩოვს** (ხედავთ! საქმე გორბაჩოვამდეც კი მივიდა) შევარდნაძისთვის უკითხავს: რა ანტისაბჭოური ფილმი გადაიღო აბულაძემო? ხოლო ბატონ ედუარდს უპასუხია: რას ბრძანებთ, აბულაძე კომუნისტია, პარტიის წევრია, ანტისაბჭოურს არაფერს იზამდე, ეს სურათი წარსულში ჩვენს ქვეყანაში კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას ასახავსო...

ფილმი იპოვეს, და აი, საკონფლიქტო კომისია თეთრ დარბაზში უყურებს მას. ფილმი დამთავრდა, და კლიმოვმა თქვა: არავითარი რეზიუმე, განცხადება, დასკვნა, ეს პოლიტიკური საქმეა და მას პირადად მე მივხედავო. მივიდა ცეკაში ალექსანდრე **იაკოვლევთან**, რომელიც იმხანად პროპაგანდის განყოფილების გამგე იყო და უთხრა, რომ არის ასეთი ფილმი. იაკოვლევმა ასლი სთხოვა. ნახა: „ეს ხომ რაღაც სიურეალიზმია!“ — „კარგი გაგებით თუ ცუდით?“. „კარგი, რა თქმა უნდა, კარგი გაგებით! მაგრამ ამ უდავოდ ნიჭიერი ფილმისადმი მთელი ჩემი სიმპათიის მიუხედავად, ეს პოლიტიკური საქმეა. ძალიან გაჭირდება მისი გამოშვება, ამ კედლის განგრევა, ცხადი, ფილმი — ისეთი მძლავრი სასიგნალო მაშხალაა ყველასათვის, რომ თუ გამოვიდა — ეს გახდება ჩვენს ქვეყანაში სრული პოლიტიკური შემობრუნების ნიშანი“.

მოგვიანებით იაკოვლევმა კლიმოვი მიიწვია პოლიტბიუროს წევრებისა და წევრობის კანდიდატების ცოლებთან შეხვედრაზე: „მობრძანდით, გაიცანით ჩვენი მანდილოსნები, შეხვედრას ქალბატონი რაისა გაუძღვება, მზად უნდა იყოთ პრაქტიკულად ყველაფრისათვის...“ კლიმოვი მივიდა დარბაზობის სასახლეში. შევიდა დიდ დარბაზში. ცენტრში ქალბატონი რაისაა, წინ კლიმოვი უზის. აქეთ-იქით პოლიტბიუროს წევრთა ცოლები შემოსხდომიან. დაიწყო შეკითხვები. და მოულოდნელად — ეკითხებიან „მონანიებასთან“ დაკავშირებით (მაშასადამე ადრე უნახავთ, „აგარაკებში“ ფილმი უკვე გასულა, არადა, სწორედ იქ წყდებოდა ჩვენი სურათების ბედი), უნდა გენახათ, ცოლების რა გაფთრება გამოიწვია ფილმმა. საბოლოოდ, შეხვედრა ერთობ დრამატული გამოდგა „მონანიების“ გამო. ცხადი გახდა: ფილმი [illegible]ულებელია...

86-ის ზაფხული. აღარაფრის იმედი აღარა გვაქვს. იქ „ზევით“ წყდება არა უბრალოდ ფილმის ბედი — არამედ ყოფნა-არყოფნის ბედი... და დაიწყო ეშმაკური სვლების გამოგონება: გამოეშვათ ფილმი საქართველოს ტელევიზიით სასინჯი ჩვენებისათვის. მაშინ კლიმოვი მივიდა ერმაშთან, სსრ კავშირის სახკინოს თავმჯდომარესთან და უთხრა: „ეს ფილმი თავიდანვე უნდა გავიდეს ფართო კინოგაქირავებაში, რათა იგი მილიონებმა ნახონ“.

მე ზუსტად არ ვიცი დეტალები, როგორ წყდებოდა ფილმის ბედი „ზევით“, მაგრამ საკმაოდ მოკლე დროში, 1987-ის იანვრისათვის, „მონანიება“ მაინც გამოვიდა, მოულოდნელად ჩაერთო საქმეში და დაგვეხმარა **ლიგაჩოვი**. ხოლო საბოლოო სიტყვა კი ბრძანა გორბაჩოვმა. ასე ამბობენ!

და იყო რიგები, უამრავი ხალხი იდგა კინოთეატრ „როსიასთან“, ხალხი ერთმანეთს ეხვეოდა, ტიროდა... შემდეგ იყო ტრიუმფი, ოვაციები კანში. „მონანიებამ“ მთელი მსოფლიო მოიარა.

მარინე მურზინა.

* * *

კადრი ფილმიდან „მონანიება“.

გაზ. „არგუმენტი ი ფაქტი“. № 40.

ფულის რეფორმა

სავალუტო რეზერვი იზრდება, ცხოვრების დონე კი...

რესპუბლიკაში ლარის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადებას მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა გაგებითა და, შეიძლება ითქვას, სიხარულითაც კი შეხვდა. სხვაგვარად წარმოუდგენელი იყო. ეროვნული ფული ხომ სახელმწიფოებრიობის, საკუთარი ღირსების შეგრძნების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია. ის ჩვენმა ხალხმაც ასე მიიღო. თუმცა ეკონომიკას თავისი ულმობელი კანონები აქვს და „ლირიკას“ არ ცნობს.

ლარის საქართველოს ფინანსურ სივრცეში დომინირებად გამოცხადებამ მთავრობათ განსაზღვრა ამ სივრცეში რუსული რუბლის ბედი. [illegible] ლარამდე, ფაქტობრივად, იგი ერთადერთი საბრუნავი საშუალება იყო. და ბუნებრივია მოსახლეობის უმრავლესობაში ამ ფულის დიდი მასა იყო დაგროვილი.

აშშ დოლართან მიმართებაში რუბლის გაუფასურების ტენდენცია რუსეთში ბუნებრივად მიმდინარეობს და იგი, ასე თუ ისე, ამ ქვეყნის საფინანსო იერარქიის კონტროლს ქვეშ არის. საქართველოში კი დოის ეროვნული ბანკის თანადგომა რომ არა, რა დღე დაადგებოდა მას, ძნელი სათქმელია. ის შავმა ბაზარმა იმთავითვე აღიქვა. ერთი ლარი აქ 4700-5000 რუბლად იყიდება. ახალი ქართული ბანკის, ქართული ბანკისა და საქაგრომრეწვბანკის ფილიალებში ფიქსირებული კურსით ერთი ლარი — 4300 რუბლად იყიდება. თუმცა აქ შექმნილი გარკვეული ბარიერები (რიგები, შეზღუდვები), რაც არც თუ იშვიათია, ისევ შავ ბაზარს აძლევს სტიმულს და მოსახლეობის გარკვეული ნაწილიც მას ანიჭებს უპირატესობას. ის შეიძლება სათანადო ინფორმაციის უქონლობის, თუ ამ საქმეებში გაურკვევლობის შედეგადაც ხდება. საყურადღებოა ისიც, რომ რუბლის სამშობლოში ერთი აშშ დოლარი, რომელიც 4490 რუბლამდე ღირს (კურსი დოლარის სასარგებლოდ უმნიშვნელოდ მერყეობს), ჩვენთან 5200-5300 რუბლად იყიდება, რაც ვალუტით სპეკულაციის კარგ შანს იძლევა.

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის ვაჭრობათა ბოლო შედეგებს თუ გადავხედავთ (11 ოქტომბერს დოლართან და რუბლთან მიმართებაში ლარის კურსი ოფიციალური დარჩა 1 დოლარი 1,28 ლარად იყიდებოდა, 1000 რუბლი — 25 თეთრი), ლარი პოზიციებს იმყარებს. ამასთან ერთად, ოფიციალური საფინანსო ორგანიზაციების განცხადებით, ბოლო ორი კვირის განმავლობაში საგრძნობლად (რამდენიმე მილიონი დოლარით) გაიზარდა სავალუტო რეზერვები. ლარის გამყარება რომ ეროვნული პროდუქციის წარმოების ზრდამ არ გამოიწვია, ის სამომხმარებლო ბაზრიდანაც ჩანს. იზრდება სახელმწიფო სავალუტო რეზერვი, იზრდება საქონლის ფასებიც. მოსახლეობის სავალუტო რეზერვს კი ბაზარი [illegible]. სურსათი თუ სხვა პროდუქტების ფასების გადაანგარიშება ლარებში, როგორც ჩანს, ტენდენციისამებრ ისევ რუბლთან სწორდება (მისი ინფლაციის [illegible] გათვალისწინებით), რაც ლარის მყიდველობით უნარს ამცირებს და მოსახლეობის ცხოვრების დონის ვარდნას იწვევს. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ეს დროებითი მოვლენაა და ამას ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმი დაარეგულირებს.

მანამდე კი სახელმწიფო ადმინისტრაციული მეთოდებით (ბუნებრივია, რაზეც ხელი მიუწვდება) ცდილობს ფასების რეგულირებას, ლარისადმი მხარდაჭერას. თბილისის მერიის გადაწყვეტილებით ელექტროტრანსპორტით მგზავრობის ღირებულება მკაცრად განსაზღვრულია. მეტროპოლიტენით, ტროლეიბუსით, ტრამვაით მგზავრობა 5 თეთრი ღირს, საქალაქო ავტობუსით მგზავრობა, მარშრუტის სიდიდის მიხედვით 10-25 თეთრი, სამარშრუტო ტაქსებით კი 15-დან 35-მდე თეთრი. ფიქსირებულია კომუნალური მომსახურების ტარიფებიც. ერთი კილოვატსაათი ელექტროენერგია მოსახლეობისთვის 2,5 თეთრი ღირს, ლიფტით მომსახურება ერთ სულზე — 40 თეთრი, წყალი — 20 თეთრი, ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ბინის ფართობის გადასახადი თვეში 1 თეთრია.

სხვა სურათია საბითუმო ბაზარზე. მეზობელი რესპუბლიკებიდან სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან დიდ პარტიებად შემოტანილ საქონელში ჩვენს კომერსანტებს აშშ დოლარებით უხდებათ ანგარიშსწორება (რუსული რუბლი, ადრინდელთან განსხვავებით, ამ ბაზრიდანაც გამოდევნილია), რაც ჩვენი კანონმდებლობით აკრძალულია.

რესპუბლიკის საფინანსო სფეროში სრული წესრიგის დამყარებამდე, ალბათ, ჯერ ადრეა, მაგრამ ამის სიმპტომები ჩანს. ახლა მთავარია ხელისუფლებამ უფრო მეტად უპატრონოს ლარს, რომ ხალხმა, ვინც თავიდანვე ასეთი ინტერესი გამოიჩინა ეროვნული ფულისადმი, მის მიმართ კუპონის მსგავსად ნდობა არ დაკარგოს.

შოთა მაჭარაშვილი.

[illegible] ინფორმაცია

ყურადღება!

13 ოქტომბერს, 12 საათზე, მინისტრთა კაბინეტში გაიმართება განათლების მუშაკთა, საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელთა თათბირ-სემინარი განათლების სისტემაში საკადრო რეფორმების განხორციელების საკითხებზე.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე და, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

ყურადღება!

რესპუბლიკის, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით თბილისში, დიდი დიღომი-გლდანის შემაერთებელ მაგისტრალსა და აკ. ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო „დიდომი-98"-ის საავტომობილო ბაზრობაზე საფუძველი ჩაეყარა კარგ სიახლეს. დღეიდან საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს სარეგისტრაციო-საგამოცდო სამსახურისა და ავტომობილებით საკომისიო ვაჭრობის მაღაზიის თანამშრომლები ბაზრობის ტერიტორიაზევე უზრუნველყოფენ მოსახლეობის მომსახურებას — სატრანსპორტო საშუალებათა და მათი ნომრიანი აგრეგატების რეგისტრაციას.

რესპუბლიკის საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესცენტრი.

ქართული ფსიქიატრიის აღიარება

20-23 სექტემბერს ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში ჩატარდა ფსიქიატრთა მსოფლიო ასოციაციის რეგიონული სიმპოზიუმი — „ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა გზაჯვარედინზე", რომელიც მიეძღვნა ფსიქიატრიის, ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორიცაა დეპრესია და შიზოფრენია. სიმპოზიუმზე დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოდან წარდგენილმა მოხსენებებმა, რომელთა ავტორები იყვნენ მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტისა და სამედიცინო უნივერსიტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრის თანამშრომლები ს. ტურგულიძე, გ. ნანეიშვილი, ნ. ოკრიბელაშვილი, ა. ბეგიაშვილი, ვ. კენჭაძე, ზ. ბერია.

აღსანიშნავია, რომ ქართველ ფსიქიატრთა მოხსენებებს, მათი აღიარებისა და მნიშვნელობის გამო, წილად ხვდა პატივი დასტამბულიყო ამ ერთობ მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფორუმისადმი მიძღვნილ სპეციალურ ჟურნალში.

გარეთ ლარის ამინდია!

ქრთამით ვის გააკვირვებ! მაგრამ როდესაც საგარეჯოს მევენახეობის მეურნეობის კომენდანტი ნინო კაკუტაშვილი ასეთ მეურნეობის საუწყებო სახლში ჩაწერისთვის თავის [illegible] 500.000 რუბლს გამოსძალავს, დიდი სურვილი დაგებადება მიხვიდე ამ უბირ ქალთან, რომელიც არც გაზეთებს კითხულობს, არც ტელევიზორს უყურებს და უთხრა:

— ფანჯარაში გაიხედე, ქალბატონო, გარეთ ლარის ამინდია!

სად არის ალი-ბაბა?

კიდევ ერთი იარაღის სეზამი გაიღო დმანისის რაიონის ტყეში. „მხედრიონის" მიერ მიწაში ჩაფლული სამხედრო მასალის მდიდარი „ასორტიმენტი", შსს ორგანიზებული დამნაშავეობის, კორუფციის, რეკეტისა და ეკონომიკური დივერსიის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ამოიღეს. ესაა ყუმბარმტყორცნის ჭურვი — 3 ცალი; ნაღმსატყორცნის ჭურვი — 10 ცალი; 7 ხელყუმბარა „ფ-1", 5 ხელყუმბარა „რგდ"; ავტომატ „აკ"-ის 820 ვაზნა, ავტომატ „აკმ"-ის 73 ვაზნა, ხელყუმბარის 5 დეტონატორი, ავტომატის მჭიდების ჩასაწყობი 2 ჩანთა და 2 ნიღაბი.

სეზამი კი გაიხსნა, მაგრამ ალი-ბაბა სად არის?

[illegible]

იღბლიანი ოთხშაბათი სპორტის სასახლეში...

ქართული კალათბურთი რომ აღმასვლას განიცდის, ამაში ალბათ ორი აზრი არ არსებობს. მოდის ახალი, მეტად პერსპექტიული თაობა, რომელსაც ძალუძს დიდი მიზნებისათვის ბრძოლა. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით 11 ოქტომბერს. ამ დღეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები თბილისის სპორტის სასახლეში მასპინძლობდა ბოსნია-ჰერცოგოვინის ეროვნულ გუნდს.

ამ მატჩამდე სამი დღით ადრე ჩვენმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველი მატჩი გამართა სლოვაკეთში ადგილობრივ ნაკრებთან და დამარცხდა 9 ქულის სხვაობით — 73:82.

აი, რა გვიამბო სლოვაკეთთან გამართული მატჩის შესახებ საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა **ბესიკ ლიპარტელიანმა:**

„ჩვენი ნაკრებისთვის ეს იყო პირველი ოფიციალური მატჩი ამ რანგის ტურნირებზე, ბიჭები შებოჭილი მოქმედებდნენ მოედანზე, რამაც საბოლოოდ დაღი დაასვა ჩვენს თამაშს, რომ არა ქართველი კალათბურთელების ზედმეტი ნერვიულობა, მატჩის მოგება შეიძლებოდა. მე გამოვყოფდი ახალგაზრდა ვოვა სტეფანიას თამაშს, რომელმაც ამ მატჩში 29 ქულა მოაგროვა, აღვნიშნავ აგრეთვე ნიკოლოზ დერიუგინს, ვითვალისწინებთ რა მის შესაძლებლობებს, მისგან უფრო მეტს ვითხოვთ. კმაყოფილი ვარ უკანა ხაზის თამაშით (ტურაშვილი, ბარამიძე), რომლებმაც პირნათლად შეასრულეს ჩემი დავალება. სლოვაკეთთან მატჩში ათივე კალათბურთელმა მიიღო მონაწილეობა. მათი მონაგარი ასეთია: ბარამიძე (4), კობეშავიძე (8), ბაქრაძე, სანაძე (2), ტურაშვილი (5), დერიუგინი (16), ქარაბაქი (5), სტეფანია (29), ჩხეიძე (2), შენგელია (2). სლოვაკეთის ნაკრებიდან აღსანიშნავია იუნაკი, რომელმაც 9 ნასროლი სამქულიანიდან 7 ჩააგდო და მთლიანად მატჩში 26 ქულა შესძინა გუნდს. პოლონელი და ხორვატი მსაჯების მიმართ არავითარი პრეტენზია არ მაქვს.

ჩვენი მომავალი მეტოქის ბოსნია-ჰერცოგოვინის შესახებ თითქმის არაფერი არ ვიცით, მაგრამ შევეცდებით დავამარცხოთ მეტოქე".

ახლა კი დავუბრუნდეთ 11 ოქტომბრის მატჩს. დასაწყისი კარგს არაფერს უქადდა ჩვენს ნაკრებს. სტუმრები სოლიდური უპირატესობით დაწინაურდნენ, მაგრამ ქართველი კალათბურთელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი დროზე მოეგნენ გონს და ხელთ იგდეს თამაშის სადავეები. პირველი ნახევარი ჩვენი კალათბურთელების ორქულიანი უპირატესობით დამთავრდა — 30:28.

მეორე ტაიმი ქართველმა კალათბურთელებმა კიდევ უფრო აქტიურად დაიწყეს. ანგარიშში სხვაობა თანდათან იზრდებოდა. მატჩის საბოლოო ანგარიშია 77:66 ჩვენი ნაკრების სასარგებლოდ.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია საქართველოს ნაკრების წევრი ვოვა სტეფანია, რომელიც ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა მოწინააღმდეგეს. მას ყველაფერი გამოსდიოდა ამ დღეს — სწრაფი გარღვევები მეტოქის ფართან, ბურთის ფარიდან მოხსნა, დაფარება... კარგად ითამაშა რევაზ ჩხეიძემაც, რომელმაც ამ მატჩში უდიდესი სამუშაო გასწია. ამ ახალგაზრდების მხარდამხარ მედგრად იბრძოდა ნიკოლოზ დერიუგინი. ამჯერად ჩვეული შედეგიანობით ითამაშა გია სანაძემ.

ქართველმა კალათბურთელებმა ეს მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს: ტურაშვილი (3), სანაძე (23), დარსაძე (3), დერიუგინი (11), სტეფანია (15), შენგელია (2), ქარაბაქი (4), ჩხეიძე (16).

შემდეგ თამაშს ჩვენი ნაკრები ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან — ისრაელის ნაკრებთან გამართავს 15 ნოემბერს თბილისში.

იაგორ სავანელი.

სურათზე; გარღვევაზეა რევაზ ჩხეიძე.

ეროვნულ სტადიონზე...

პირველი წუთი. ჯამარაულის ზუსტი გადაცემით შოთა არველაძე პირისპირ გადის მეკარე მიხაილოვთან, ოსტატურად ატყუებს და ხსნის ანგარიშს — 1:0.

48-ე წუთი. გოგიჩაიშვილი მარცხენა ფრთაზე სლალომისტის მსგავსად გასცდა რამდენიმე მცველს და მიხაილოვი აიძულა საჯარიმო მოედანზე წესი დაერღვია. პენალტით გიორგი ქინქლაძეს მეორე გოლი გააქვს — 2:0.

88-ე წუთი. საჯარიმოს წინა ხაზთან სტოიჩკოვი კორპუსით უგებს მაღალი ბურთისათვის ორთაბრძოლას შელიას, ხელსაყრელ პოზიციაზე გადის და უძლიერესი დარტყმით პრესტიჟის გოლი გააქვს — 2:1.

ეს საქართველო-ბულგარეთის შესარჩევი მატჩის მხოლოდ შედეგიანი ეპიზოდების მშრალი ნუსხაა. სოლიდური თამაშით კი მასპინძლებმა სასახელო ფურცელი ჩაწერეს ქართული ფეხბურთის მატიანეში და სამომავლოდ კიდევ უფრო ოპტიმისტურად განგვაწყვეს.

თვით ის ფაქტი, რომ ოფიციალური საერთაშორისო ტურნირების დებიუტანტებმა თანამედროვეობის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე დიდებული გამოსვლის შემდეგ პირველი დამარცხება აგემეს, უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს. ამ წარმატებას ვერავინ უწოდებს შემთხვევითს — ჩვენმა ნაკრებმა იმავე მეტოქეს სტუმრად შარშანაც უჩვენა ბასრი კლანჭები, შემდეგ მთელი რიგი მატჩებიც მაღალ დონეზე წარმართა და ლოგიკურად მოიახლოვა 11 ოქტომბრის დაუვიწყარი საღამო.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში გამოსვლის ანალიზი, მით უმეტეს, როცა დასკვნითი შეხვედრა მოლდოვაში ერთი თვის შემდეგ გველის, შემდგომისთვის გადავდოთ, ამჯერად კი გუშინწინდელ ორთაბრძოლას დავუბრუნდეთ.

ცხადაძის, ქეცბაიას, რევიშვილის, ინალიშვილისა და კიდევ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე საქართველოს ნაკრებმა, მისი მთავარი მწვრთნელის ალექსანდრე ჩივაძის მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ნათქვამს თუ გავიმეორებთ, ისეთი თვისებები გამოავლინა, რომლებიც ადრე ნაკლებად შეიმჩნეოდა. უპირველეს ყოვლისა,' ეს ეხება ნორმალურ ფიზიკურ მდგომარეობას, სწრაფ გადაადგილებებს, შესაშურ თავგანწირვასა და, საერთოდ, მკაცრ სათამაშო დისციპლინას. მართალაც, ამ კომპონენტების გარეშე დღეს წარმოუდგენელია წარმატებაზე ფიქრი.

როდესაც გუნდში მებრძოლი სული და თამაშის სწორი ორგანიზაცია იგრძნობა, ძნელია ცალკეულ შემსრულებელთა გამოყოფა — ყველამ, რომ იტყვიან, „ძვლები დადო" მინდორზე, მაგრამ ამ ფონზეც კი გამოირჩეოდნენ ჯამარაული, ქინქლაძე, გოგიჩაიშვილი, ნემსაძე, შოთა არველაძე, შელია... დასანანია, რომ „აქილევსის ქუსლად" სახიფათო სიტუაციების გამოუყენებლობა რჩება — შესვენების შემდეგ მინდორზე გამოსულ ყაველაშვილს სამი მომენტი გაუცუდდა... თუმცა, სამართლიანნი თუ ვიქნებით, გულდასაწყვეტი ამ მხრივ სტუმრებსაც ჰქონდათ — პირველ ტაიმში მრისხანე კოსტადინოვის უძლიერესი დარტყმები ორჯერ მოიგერია ძელმა. აქვე, ძელთან დაკავშირებით, ასევე შემცვლელად გამოსული კილასონიას შორეული „გასროლაც" გავიხსენოთ.

დასკვნის სახით კი დავძენთ, რომ ამ ღრმაშინაარსიან, დრამატულ მატჩში გამარჯვებას ჭეშმარიტად უძლიერესმა მიაღწია — საქართველოს ნაკრებმა იმ დღეს დამსახურებული რევანში აიღო პირველ წრეში დამარცხებისათვის. მით უფრო მოულოდნელად გაისმა ზემოთნახსენებ პრესკონფერენციაზე ბულგარელთა მთავარი მწვრთნელის დიმიტარ პენევის მოსაზრება — მან ქართველთა მოგება სანახევროდ იღბალს და სანახევროდ მსაჯს დააბრალა. რას ვიზამთ, ასეთ შეფასებებსაც უნდა მივეჩვიოთ...

იმავე დღეს გერმანიამ სტუმრად სძლია უელსს — 2:1 და დაეწია ბულგარეთს — მეშვიდე შესარჩევი ჯგუფის ლიდერებს ბოლო ტურის წინ 22-22 ქულა აქვთ. შემდეგ მოდიან საქართველო — 15, ალბანეთი და უელსი — 7-7, მოლდოვა — 6 ქულა.

გია პლატონიშვილი.

სურათზე: გიორგი ქინქლაძის მორიგი „სოლო".

ვარლამ ბენბიურის ფოტოები.

წიგნი

სულის მატიანე

„რათა განვმართლდეთ ღვთის წინაშე ქართველნი და არა წარვწყმდეთ ცრუ ყოფითა ჩვენითა"



„რა უნდა ვაკეთოთ". წიგნის ავტორია მეუფე იოანე-იონა, ერისკაცობაში — მურთაზ ჩახავა, ქართველი პოეტი და პროზაიკოსი, ამჟამად ღვთისმსახური — საქართველოს ძველმართლმადიდებლური ეკლესიის ეპისკოპოსი...

მე, წიგნის სამყაროში, ასე თუ ისე, ჩახედულ ადამიანს, მსგავსი შინაარსის ნაშრომი არ მინახავს ქართულ ენაზე. ღვთისადმი სიყვარულითა და სიმართლით მიძღვნილ ამ წიგნში, საქართველოს ისტორიის ფონზე, გადმოცემულია წმინდა სამყარო ქრისტიანთა ცხოვრებისა: ღმერთი და მისი გამგებლობა, რელიგია და სახელმწიფო, ქრისტე, — ხსნა კაცობრიობისა, წმინდა ეკლესია...

ადრე გამოქვეყნებული მასალებისაგან შედგება მეორე და მესამე ნაწილი, რომელიც პოლემიკური ფორმით, ეძღვნება ქრისტიანული ჭეშმარიტების დაცვას. ნაშრომი შედგება 109 თავისგან, განხილულია 160-მდე საკითხი (არ გაგიკვირდეთ — წიგნი 800-გვერდიანია). ქართველ პოლიგრაფისტთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენს საუკუნეში ასეთი წიგნი იშვიათადაა გამოცემული. ტირაჟი 1 000. დაიბეჭდა და აიკინძა თბილისის კარტოგრაფიულ ფაბრიკაში, ავტორის ხარჯით. მისი სათაურია „რა უნდა ვაკეთოთ". აჯობებდა გვეწოდებინა „რა უნდა ვიცოდეთ და რა უნდა ვაკეთოთ".

საუბრის ფორმაც არაჩვეულებრივია — პირველწყაროებზე დაყრდნობით, უმეტესად დიალოგის ფორმით ავტორი ეკამათება ერეტიკოსებსა და მწიგნობარ [illegible].

წიგნი სხვა მხრივაცაა ორიგინალური — ბიბლიის, სახარების, წინასწარმეტყველთა და წმინდა მამათა მომარჯვებით, მეცნიერული დამაჯერებლობითაა გადმოცემული მართლმადიდებლური ეკლესია და მისი როლი წარსულში, აწმყოსა და მომავალში.

დიახ, მსგავსი წიგნი, მით უმეტეს, ღვთისმეტყველებაში, უიშვიათესია საქართველოს სინამდვილეში. ვფიქრობ, ავტორს მის შექმნაში დიდად დაეხმარა ღმრთისგან მონიჭებული ნიჭი და მწერლის (პოეტის, პროზაიკოსის) ღვთისნიერება. ახლა ნაშრომის წყობა, სტილი, ენა, ფილოსოფიურ-დიდაქტიკური სამყარო... განსაცვიფრებელია საქართველოს ისტორიის ასეთი ღრმა ცოდნაც.

მეუფე იოანე-იონას (მურთაზ ჩახავას) მისი სტუდენტობის დროიდან ვიცნობ, როგორც ხელოვნებითა და მწერლობით გატაცებულ ახალგაზრდას, მაგრამ ვერც წარმოვიდგენდი, რომ ასე მოკლე ხანში, და ისიც ღვთისმეტყველებაში, ასეთი ნაშრომით წარსდგებოდა თავისი ერის წინაშე!

უფლებას ვიტოვებ, აქვე გამოვთქვა ჩემი კეთილი სურვილი — მოსაზრებანი ავტორსა და მის წიგნზე:

საჭირო იყო ასეთი რთული აღნაგობის ნაშრომს წამძღვარებოდა წინასიტყვაობა-შესავალი ამ მრავალთათვის უცნობ სამყარო-საგანძურის მოსახილველად. ეს ნათელყოფდა, როგორც ავტორის მოღვაწეობას, ისე წიგნის შინაარსს. არ უნდა დავიწყებინა თვითკრიტიკაც, ქართული ეკლესიისადმი მიძღვნილი მკაცრი გამონათქვამების გამო...

ასეთი წინათქმა-გზამკვლევი გაგვიადვილებდა ღვთისმეტყველებისა და ღვთისმსახურების სამყაროს ავტორისეულ გაგებას, მის ნააზრევს, რომ მეუფე იოანე-იონა კი არ ებრძვის ქართულ ეკლესიას, არამედ ცდილობს „მიძინებულ ქართველ ქრისტიანთა" გამოღვიძებას, საუკუნეების მანძილზე დაშვებული „შეცდომების" გამოსწორებას. მოუსმინეთ მას: „...ჩვენ რუსებისაგან წამოვიღეთ ის ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა, რასაც ბერძნული ჰქვია... თუკი ვისმეს აინტერესებს ჩვენი მართლმადიდებლური ეკლესიის ორიენტაცია, იგი გახლავთ რუის-ურბნისის კრების დადგენილების, ე. ი. დიდი რჯულის კანონის განუხრელად მიმყოლი ეკლესია". (გვ. 456), მაშ, რაღა დაგვრჩენია საკამათო ქართულ ეკლესიასთან?

ავტორს დავიწყებული აქვს ერთი მნიშვნელოვანი საკითხი — ანალიზი იმისა, თუ რამ განაპირობა, რომ სხვადასხვა დროს ქართულ ეკლესიას [illegible] ერესის გზით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს [illegible] მხოლოდ და მხოლოდ მართლმადიდებლური [illegible] სარწმუნოების შენარჩუნებისთვის, განსაკუთრებით — [illegible] რუსეთის 300-წლიანი [illegible]. [illegible] რომ სწორედ [illegible], როგორც ერის, ისე [illegible] იყო ყოველთვის, ყველა დამპყრობ[illegible] რომ არა, ქართველი ხალხი გადაგვარდებოდა ისევე, როგორც ბევრი სხვა გადაგვარებულა. [illegible]? ეს ხომ ჯოჯოხეთი იყო სულიერ სამყაროში? თუ მეუფე იოანე-იონას ლოგიკას გავყვებით, ამ პერიოდში ეკლესიაში ჯვარდაუწერელი მშობლებისგან დაბადებულ (სადღა იყო საბჭოეთში ეკლესიები?), სჯულის კანონის „გადახვევით" მონათლულ თაობებს საიქიოსაც ჯოჯოხეთში მოგვიწევს წამება, რა დავაშავეთ ასეთი, ღმერთო?!

იგივე ისტორიული გარემოებანი განსაზღვრავდა ქართველთა ორიენტაციას კათოლიკურ სამყაროსთან. გავიხსენოთ ქართველი ერის დიდებულზე დიდებული მეფის (სამწუხაროა, რომ ქართულ ეკლესიას დღევანდლამდე წმინდანად არ შეურაცხავს), „მეორე ახალი მოსე ისრაელთას", პატარა კახის პერიოდი: საქართველო მისული იყო ყოფნა-არყოფნის კარიბჭესთან.

და ასეთ სიტუაციაში, ძვირფასო მეუფე იონა, უსაყვედურებდეთ ქართველ მოღვაწეებს — მეფეებს, სულხან-საბას, ანტონ I კათალიკოსს და სხვებს, რომ მათ ზოგიერთ საკითხში დაარღვიეს სჯულის კანონი, გადაუხვიეს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, უხერხულად გამოიყურება. დანაშაულად ჩათვლილია მათი წერილები და მიმართვები დასახმარებლად კათოლიკური სახელმწიფოებისადმი მუსლიმანთა უღლისაგან გასათავისუფლებლად (ამავე მიზნით, ანტონ კათალიკოსმა კათოლიკობაც კი მიიღო).

ნუ ვიფიქრებთ, ჩვენო მკაცრო მსაჯულო, რომ ნაკლებ უბედურ მდგომარეობაში არ იყოს დღევანდელი საქართველო, მისი ეკლესია. კიდევ უფრო მეტი ძნელბედობაა მოსალოდნელი, როგორც ჩრდილოეთიდან, ისე სამხრეთიდან (კავკასია ხომ ჩვენი მეზობელი სახელმწიფოების მთავარი სამიზნეა?!).

წიგნის ავტორის მხრიდან გადამეტებული სიმკაცრითაა შეფასებული ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მოღვაწეობაც. ცოდავს ღვთით მოვლენილ ამ ავბედობის ჟამს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მიმართაც. სადაა ქრისტესმიერი სიყვარული, ურთიერთპატივისცემა, შემწყნარებლობა, ერთიანი ძალით ბრძოლა სიმართლისა-[illegible], სინათლისათვის?!

ზემოთ მოტანილი შენიშვნები სრულებითაც არ ეწინააღმდეგება დასაწყისში მეუფე იოანე-იონას წიგნის შესახებ ჩემს მიერ გამოთქმულ შეფასებას. დიახ, ეს არის ენციკლოპედიურ-უნიკალური ნაშრომი-სახელმძღვანელო, [illegible] საკითხვა-გააზრება დიდად დაეხმარება ყველა [illegible], როგორც სასულიერო, ისე საერო პირებს. აქ მოტანილი [illegible] კონცენტრირებული დოკუმენტების დიდი ნაწილი ხომ თითქმის უცნობია მასობრივი მკითხველისათვის?

წერილს ვამთავრებ წიგნის ავტორის, მეუფე იოანე-იონას ვედრებით:

[illegible] წმიდაო წმიდათა წმიდანო,
[illegible] — ღვთისმშობელო მარიამ,
ქართველთა განმანათლებელო ნინო წმიდაო,
[illegible] წმიდაო გიორგი,
და ყოველნო წმიდანნო ღვთის კარზე მდგომარენო,
[illegible] იოანე, ნათელო,
[illegible] — თორმეტ მოციქულთაგანო,
[illegible] მოღვაწენო საქართველოსანო —
[illegible] მარკოზ, ლუკა და იოანე!
[illegible] მამანო სამოცდაათნი,
[illegible] დავით და კონსტანტინე,
სამებისა წმიდისა წმიდათა წმიდანო,
ყოველნო წმიდანნო ღვთის კარზე მდგომარენო,
ევედრეთ ქრისტესა — მეუფესა ჩვენსა,
რათა განგვარიდოს საცდურსა ყოველსა.
შეეწიოს საქართველო — წილხვედრ ღვთისმშობლისა,
განგვანათლოს ნათლითა უნათლესით თვისითა,
რათა განვმართლდეთ ღვთის წინაშე ქართველნი,
და არა წარვწყმდეთ ცრუ ყოფითა ჩვენითა.

ვახტანგ გურგენიძე.

წლები - ჩემი სიმდიდრე

არავინ იცის, ვინ როდის დაბერდება

გერონტოლოგებმა დიდი ხანია დაამტკიცეს, რომ ხშირად კალენდარული წლებით ხანდაზმული ადამიანი ბიოლოგიური ასაკით სულაც არ არის დაბერებული. სიბერის განსაზღვრა ძალზე ინდივიდუალურია, — სხვადასხვა ადამიანი, სხვადასხვა დროს ბერდება. ზოგ ადამიანს, ასაკის მატებისას, უფრო ადრე სმენის ორგანო ღალატობს, ზოგს — მხედველობის, ზოგს — საყრდენ-სამოძრაო აპარატისა და სხვა... მაგრამ იგივე ცვლილებები ახალგაზრდა ასაკშიც გვხვდება, რაც ნაადრევი სიბერის სახელითაა ცნობილი. ამის კლასიკური მაგალითია უნგრეთის მეფე ლუდოვიკ მეორე, რომელიც 14 წლის ასაკში წვერულვაშით შეიმოსა, 15 წლისა დაქორწინდა, 18 წლისა მთლიანად გაჭაღარავდა, 20 წლისა — დაბერდა და ამავე ასაკში გარდაიცვალა.

წინაპრებს კალენდარული ასაკით რომ ემსჯელათ, შემოქმედებით ზენიტში ყოფნის პერიოდში უნდა გაეშვათ „პენსიაზე" ისეთი გენიოსები, როგორებიც იყვნენ: იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთე, და მაშინ აღარ გვექნებოდა უკვდავი „ფაუსტი", რომელიც მან 80 წლისამ დაამთავრა; გალილეო გალილეი, რომელმაც თავისი „დიალოგი მოძრაობაზე" 72 წლისამ დაასრულა; ისააკ ნიუტონი, მან 83 წლისამ დაუწერა ახალი წინასიტყვაობა თავის „პრინციპებს"; პაბლო პიკასო, რომელიც 1973 წელს 91 წლისა გარდაიცვალა, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ინტენსიურად და ნაყოფიერად მუშაობდა.

ამერიკელი პოეტი ლონგფელო წერდა, რომ ჩვენ წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნეში ძველ რომში მცხოვრებმა ორატორმა კატონმა 80 წლის ასაკში შეისწავლა ბერძნული ენა. მუსიკის ჯადოქარმა ჯუზეპე ვერდიმ 74 წლისამ დაწერა ოპერა „ოტელო" და 80 წლისამ შექმნა „ფალსტაფი".

თანამედროვეობის უდიდესი კომპოზიტორი და დირიჟორი იგორ სტრავინსკი შემოქმედებითი ხალისით მუშაობდა 88 წლისაც..

ჩვენს სახელოვან ხანდაზმულ თანამემამულეებს — ივანე ბერიტაშვილს, აკაკი შანიძეს, გიორგი ახვლედიანს და სხვებს თამამად შეიძლება მიუსადაგოთ XVI საუკუნეში მოღვაწე ფრანგი ფილოსოფოსის მიშელ დე მონტენიეს სიტყვები: „მე მინდა მუშაობისას მოვკვდე".

მცდარი გამოდგა ვ. ოსტვალდის აზრი, რომელიც მან 1910 წელს გამოთქვა სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ წიგნში „დიდი ადამიანები", თითქოს შემოქმედებითი ნიჭი ახალგაზრდობისას ბრწყინავს და წლების მატებასთან ერთად ნელდებაო. ავტორის ასეთმა ემპირიულმა მტკიცებამ აიძულა ცნობილი მეცნიერი, ქიმიის პროფესორი პაულ (პავლე) ივანეს ძე ვალდენი დაემუშავებინა დიდი სტატისტიკური მასალა, რომლის საფუძველზე დადგინდა, თუ როგორია სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში მეცნიერთა შემოქმედებითი პოტენციალი.

აღმოჩენები, რომლებიც საფუძვლად დაედო თანამედროვე ბუნებისმეტყველებას (დაწყებული ბეკონის „ახალი ორგანონიდან" დამთავრებული ეინშტეინის ალბათობის თეორიით) პროცენტულად, ასაკის მიხედვით ისე ნაწილდება, რომ ყველა ასაკობრივ ჯგუფთა შორის აღმოჩენების უმეტესი რაოდენობა მეცნიერთა ხანდაზმულ ასაკზე მოდის.

მაშასადამე, შრომის ნაყოფიერების შესაფასებლად უნდა ვიმსჯელოთ არა კალენდარული, არამედ ბიოლოგიური ასაკის მიხედვით, ანუ იმის გათვალისწინებით, თუ როგორია ამა თუ იმ პიროვნების შრომის უნარი და შრომის შედეგი.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობა დღის წესრიგში დააყენებს ასეთი კატეგორიის მოქალაქეთა მიმართ ზრუნვის საკითხებს.

თეიმურაზ თოფურია,
საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის გამგეობის თავმჯდომარე;

ნიკო ხატიაშვილი,
მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ამინდი

13 ოქტომბერს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან წვიმა, ხუსტი ქარი. ტემპერატურა ბარში — ღამით 9-14, დღისით 15-20, მთაში — ღამით 6-11, დღისით 12-17, მაღალ მთაში — ღამით 3-8, დღისით 9-14 გრადუსი სითბო.

სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში — მშრალი ამინდი, ტემპერატურა სოხუმში — ღამით 10-12, დღისით 17-19, ბათუმში — ღამით 12-14, დღისით 18-20, **ქუთაისში** — ღამით 12-14, დღისით 18-20 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში იქნება მშრალი ამინდი, იქროლებს წამში 9-14 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 7-12, დღისით 16-21, მთაში — ღამით 4-9, დღისით 13-18, მაღალ მთაში — ღამით 2-7, დღისით 9-14, გრადუსი სითბო.

ბორჯომის ხეობასა და სამცხე-ჯავახეთში — ღამით 4-9, დღისით 13-18, მაღალ მთაში — ღამით 2-7, დღისით 9-14 გრადუსი სითბო.

კავკასიონისა და თრიალეთის საძოვრებზე მოსალოდნელია მშრალი ამინდი, იქროლებს წამში 9-14 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი. ტემპერატურა — ღამით 3-8, დღისით 12-17, მაღალ მთაში ღამით 1-6, დღისით 8-13 გრადუსი სითბო.

თბილისში იქნება მშრალი ამინდი, იქროლებს წამში 9-14 მეტრი სიძლიერის ჩრდილო-დასავლეთის ქარი. ტემპერატურა — ღამით 10-12, დღისით 19-21 გრადუსი სითბო.

ხსოვნა

ნოე გიორგობიანი



გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, შრომის ვეტერანი, ორგზის საპატიო ნიშნის ორდენოსანი ნოე ბიჭიას ძე გიორგობიანი.

დაიბადა 1918 წელს, ამბროლაურის რაიონის სოფელ ლადიშში. აქვე მიიღო საშუალო განათლება. შემდეგ თბილისში დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო ორთაჭალის წყალსადენის, სათავე ნაგებობების დირექტორად. შემდეგ მუშაობდა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, ქუთაისის საოლქო და შემდგომ თბილისის საქალაქო კომიტეტის მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის განყოფილების გამგედ.

1958 წლიდან ბატონი ნოე საქართველოს განათლების სამინისტროს თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის დირექტორია. ხანგრძლივი და ნაყოფიერი იყო ნოე გიორგობიანის მოღვაწეობა სასწავლო დაწესებულებებში. იგი ფრიად ერუდირებული, საუცხოო სპეციალისტი და პედაგოგი, გულისხმიერი, უანგარო ადამიანი იყო.

ბატონი ნოე წლების განმავლობაში იყო საქართველოს რესპუბლიკის საშუალო სპეციალური განათლების სასწავლებლების დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და სწავლების სრულყოფის მეთოდებს, თავის ცოდნას, გამოცდილებას დაუზარებლად უზიარებდა ყველას.

წავიდა ჩვენგან დიდებული ადამიანი და დაგვიტოვა დიდი გულისტკივილი.

[illegible]

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირი, თბილისის პოლიტექნიკური კოლეჯი.

თბილისის კრწანისის რაიონის პროკურატურის თანამშრომლები [illegible] გარდაცვალების გამო.

თბილისის საბურთალოს რაიონის პროკურატურის კოლექტივი [illegible]

[illegible] ალექსანდრე (ჯემალი) [illegible] 15 X, 15 სთ. [illegible]

მორიგე რედაქტორი **ალეკო ასლანიშვილი.**

გამომცემელი - შპს „პრესა"
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, [illegible] № 26. ინდექსი 96436, ტელ.: 99-78-24.
მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოგიაშვილი.